# ახალი განათლება

2014 წელი, 8-14 მაისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№17 (651) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## საშრეოიყლი ყოფა

გვერდი 9

## ნორჩ მეცნიერთა ინოვაციური გამოგონებები

გვერდი 4

IBSU

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**აცხადებს ვაკანსიას ასოცირებული და სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, შემდეგ დისციპლინებში:**

**1. სამართალმცოდნეობის მიმართულებით:**
სრული პროფესორი – 1 (ერთი) ვაკანტური თანამდებობა,
ასოცირებული პროფესორი – 3 (სამი) ვაკანტური თანამდებობა.

**2. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით:**
სრული პროფესორი – 1 (ერთი) ვაკანტური თანამდებობა,
ასოცირებული პროფესორი – 1 (ერთი) ვაკანტური თანამდებობა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
– დოქტორის აკადემიური ხარისხი;
– სრული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება;
– ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;
– საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

**პიროვნული თვისებები:**
– პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალი დონე;
– ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;
– პრეზენტაციის უნარი;
– პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
– ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების უნარი.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**
– CV-რეზიუმე;
– დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი (უცხო ენაზე გაცემული დიპლომის შემთხვევაში, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
– პირადობის მოწმობის ასლი;
– 2 ფოტო;
– განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
– დახასიათება წინა სამუშაო ადგილიდან;
– სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
– გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
– სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**დაინტერესებულმა პირებმა მითითებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ:**
2014 წლის 9 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით (10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე)
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცელარიაში
მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ №2, ტელ : 2 59 50 05


ინფორმაცია

# ევროკავშირის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე** ევროკავშირის შეფასების ჯგუფის წევრებს – ევროკავშირის განათლებისა და პროფესიული ტრენინგების საერთაშორისო ექსპერტს **ჟან ფრანსუა ბერნედესა** და ევროკომისიის წარმომადგენელს საქართველოში **ოლივერ რაისნერს** – შეხვდა.

შეხვედრა ევროკავშირის ახალი ინიციატივის ფარგლებში გაიმართა, რომელიც 2007-2013 წლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების დეტალურ ანალიზს გულისხმობს (მათ შორის იმ პროექტების, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელდა), რის საფუძველზეც შეფასდება ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი და მომზადდება რეკომენდაციები სამომავლო ერთობლივი პროგრამების პროცესის გაუმჯობესებისათვის.

პროექტის მნიშვნელობას ის ფაქტორი განაპირობებს, რომ ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზრდება ქართული მხარის პასუხისმგებლობა ევროკავშირის დახმარების პროგრამების ერთობლივად დაგეგვმის, განხორციელებისა და შედეგების შეფასების პროცესში, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პროექტების მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერებას როგორც საერთო კოორდინაციაზე პასუხისმგებელ სტრუქტურაში, ასევე უშუალოდ პროექტების განმახორციელებელ უწყებებში.

მასწავლებელთა ფორუმი 2014

# სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მორიგი კონფერენცია-გამოფენა

**ლალი ჯელაძე**

ქართულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების პრობლემა რომ არსებობს, ამაზე, კარგა ხანია, არავინ დავობს, საზოგადოებრივი აზრი იმაზეც მკვეთრად ჩამოყალიბდა, რომ დემოკრატიულ ფასეულობებში გარკვევა კომუნისტურ რეჟიმში ნაცხოვრები საზოგადოებისთვის არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. შესაბამისად, არ აღმოჩნდა იოლი ამ ფასეულობების მომავალი თაობებისათვის სწავლება.

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს, აქედან გამომდინარე, ტრადიციულ საგნებს შორის, სამოქალაქო განათლების საგნის მნიშვნელობას პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები თანდათან აცნობიერებენ. სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება სკოლებში ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლეები ჩამოყალიბდნენ სოციალურად აქტიურ მოქალაქეებად, რომლებსაც ეცოდინებათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, სამოქალაქო პასუხისმგებლობანი და შეეძლებათ მათი რეალიზება. მაგრამ უმთავრესია ის, თუ ვინ უნდა ასწავლოს ეს ფასეულობები ახალგაზრდებს და ვინ უნდა აღზარდოს ისინი მოქალაქეებად. სწორედ ამ მიზნით დაიწყო ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია PH International (ადრე ცნობილი, როგორც პროექტი „ჰარმონია“), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და პროგრამის რეგიონულ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მისი მიზანია სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გააქტიურება.

2010 წლის შემოდგომაზე, პროგრამის ეგიდით, განხორციელდა სამოქალაქო განათლების საჭიროებათა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 1633 რესპოდენტი საქართველოს 10 რეგიონიდან. რესპოდენტებს შორის იყვნენ: მოსწავლეები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კვლევის ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. აქცენტი კეთდება საჭიროებებზე, მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე შეიქმნა სამოქალაქო განათლების 4 დამხმარე სახელმძღვანელო კომპლექტი, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს 740 სკოლას, მათ შორის, სომხური და აზერბაიჯანული სექტორის სკოლებსაც. 11 საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეცა სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული ლიტერატურა და პუბლიკაციები, ბიბლიოთეკების დაფუძნების მიზნით. შეიქმნა სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო, სკოლებში დაარსდა და ფუნქციონირებს 400 სასკოლო სამოქალაქო კლუბი.

მომზადდა 50-საათიანი ტრენინგ კურსი სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის და სემინარები სკოლის დირექტორებისთვის. აკრედიტებული ტრენინგკურსის მეშვეობით უკვე გადამზადდა სამოქალაქო განათლების 813 პედაგოგი, სამოქალაქო განათლების მნიშვნელობის შესახებ სემინარში კი 740-მდე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

2010 წლიდან, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 555 მცირე პროექტი სკოლის, მოსწავლეთა და საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ; 711-მდე მოსწავლისათვის და 53 პედაგოგისთვის ჩატარდა ტრენინგები სოციალურ მედიაში; მოეწყო სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკები – „მე აქტიური მოქალაქე ვარ“ – 715 მოსწავლისა და პედაგოგის მონაწილეობით; 170-მა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო დებატებისა და საჯარო გამოსვლების ბანაკში; ინტეგრაციის ბანაკებში ჩართული იყო 200-ზე მეტი მოსწავლე და პედაგოგი; 3000 მოსწავლე და პედაგოგი სტუმრობდა ახალგაზრდულ ფორუმებს, რომლებიც საქართველოს ყველა რეგიონში ტარდება; რეგულარულად ეწყობა სკოლებს შორის სხვადასხვა რეგიონული და ეროვნული შეჯიბრებები, წამახალისებელი ღონისძიებები და დებატების ეროვნული ტურნირები. აღნიშნული ინიციატივები, პროგრამის მიმდინარეობის განმავლობაში, 2013-2014 წლებშიც გაგრძელდება.

ამავე პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად, ეწყობა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წლიური კონფერენცია-გამოფენა. წელს, რიგით მეოთხე კონფერენცია-გამოფენა 3 მაისს გაიხსნა. ფორუმში საქართველოს ყველა რეგიონის 300-ზე მეტი პედაგოგი და მოწვეული სტუმრები მონაწილეობდნენ. ფორუმის მონაწილეები სამოქალაქო განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებსა და ინოვაციებს გაეცნენ და მიიღეს ინფორმაცია ფორუმის წევრ მასწავლებელთა გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის შესახებ.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი დაფუძნდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან პარტნიორობით. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის დირექტორი **სტივენ ჰეიკინი.** მან აღნიშნა, რომ პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისათვის, რადგან ის გათვლილია იმაზე, რომ *„მოქალა-*

## მასწავლებელთა ფორუმი 2014

*ქეებმა უფრო მეტად გაიღრმავონ ცოდნა დემოკრატიის მნიშვნელობის შესახებ, წამოჭრან ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროა საზოგადოებისათვის. შეძლონ საერთო ენა გამონახონ ადგილობრივ მთავრობებთან და განახორციელონ პროექტები, რომლებიც ისევ საზოგადოებას გამოადგება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ფორუმი სწორედ ამ საკითხებით დაინტერესებულ პედაგოგებსა და საზოგადოებას აერთიანებს.“*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურმა** ისაუბრა პროექტის მიმდინარეობისა და მიღწევების შესახებ: *„უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს პროექტი მიმდინარეობს, 740 სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამ პროცესებში აქვს პედაგოგთა გადამზადებას – თუ მათ არ ექნათ სათანადოდ განვითარებული სამოქალაქო ცნობიერება, რასაკვირველია, გაუჭირდებათ მიაწოდონ მოსწავლეებს საჭირო ინფორმაცია სამოქალაქო განათლების შესახებ და უპასუხონ იმ მოთხოვნას, რასაც საგანი მათ წინაშე აყენებს. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლების პროფესიულ მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სწორი დამოკიდებულებების ფორმირებას იმ კონტექსტისა და შინაარსის მიხედვით, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელი საზოგადოებისთვის. რაც მთავარია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ევროპასთან ინტეგრაციისთვის.*

*პროექტი, როგორც იცით, წელს სრულდება და მისი მიმდინარეობის შეფასება სპეციალურმა ჯგუფმა უკვე დაიწყო. დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც გააგრძელებენ მის დაფინანსებას, რადგან სამოქალაქო განათლების სწავლების მნიშვნელობა სკოლებში გაცნობიერებულია როგორც ჩვენი, ასევე მათი მხრიდანაც.“*

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის საქმიანობაზე ისაუბრა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის გამგეობის თავმჯდომარემ, **ნინო ბესელიამ**; სამოქალაქო განათლების სწავლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პრეზენტაცია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ექსპერტმა, **ნიკო სილაგაძემ** წარმოადგინა. ფორუმის მონაწილეებს პედაგოგების პროფესიული განვითარების განახლებული სქემა პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტმა, **მანანა რატიანმა** გააცნო.

სტუმრებმა და მონაწილეებმა სამოქალაქო კლუბების საქმიანობის ამსახველი ფოტოგამოფენა დაათვალიერეს.

ფორუმის მონაწილე პედაგოგები, მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაესწრნენ სემინარებს, რომელთა სადისკუსიო თემები იყო: სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების გამოყენება (ფასილიტატორები: **ნინო ბესელია, ნონა ფიფია**), გენდერული განზომილება თანამედროვე მოქალაქის აღზრდაში (ფასილიტატორი – **ნინო გოგოლაძე**), დებატები – მიზანი თუ საშუალება (ფასილიტატორები: **თეა ლობჟანიძე, მარი აბულაძე**), სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამები (ფასილიტატორი – **ნიკო სილაგაძე**).

კონფერენციის დასასრულს წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სამოქალაქო განათლების ფორუმის საპატიო ჯილდო – მადლობის სიგელი და „სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“ პრიზი – თერთმეტი რეგიონის თერთმეტ საუკეთესო პედაგოგს გადაეცა. დასახელდნენ სხვა ნომინაციებში გამარჯვებულებიც – *სასკოლო სამოქალაქო კლუბის საუკეთესო მეურვე, წარმატებული სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის და გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.*

**თეონა სუმბაძე**, თელავის №9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი: *„სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება, ბოლო სამი წელია, დაინერგა სკოლებში და ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად წინ წავიდა. ამას ხელი შეუწყო USAID-ის PH International საქართველოს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების პროგრამამ და სამოქალაქო განათლების კლუბების შექმნამ, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები თავიანთი თავის რეალიზაციას ახდენენ, სამოქალაქო აქტივობებს ახორციელებენ. ეს კი ხელს უწყობს მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, პრობლემების დანახვის, მათ გადაჭრაზე ფიქრისა და ზრუნვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.*

*რაც შეეხება პედაგოგთა დღევანდელ ფორუმს, ძალიან კარგი ინიციატივაა, ასეთი შეკრება შესაძლებლობას გვაძლევს, გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება. იგეგმება შემდგომი ურთიერთობები კლუბებს შორის, ასეთი დისკუსიებით პედაგოგებიც ბევრ რამეს ვსწავლობთ.*

*სამოქალაქო განათლება, როგორც იცით, IX-X კლასებში ისწავლება, ინტეგრირებულად – VII-VIII კლასებში, XI კლასში – არჩევით საგნად. სამწუხაროდ, მცირე დრო ეთმობა ამ საგნის სწავლებას, რადგან IX კლასში კვირაში 2 საათი და X კლასში 3 საათი სამოქალაქო განათლებისთვის საკმარისი არ არის; ბავშვს სამოქალაქო აქტივობა, სასურველია, პირველი კლასიდან ან, თუნდაც, ბაღის ასაკიდანვე ჩამოუყალიბდეს. მას პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ პრობლემის დანახვის და გააზრების უნარები, სამოქალაქო აქტივობა, მონაწილეობის განცდა. თვითონ პროექტი ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ყოველმხრივ უწყობს ხელს ბავშვის, როგორც მოქალაქის, აღზრდას. პროექტის ფარგლებში, არის საგრანტო პროექტებიც, რომელიც 550 დოლარით ფინანსდება. მოსწავლეები ძალიან აქტიურები არიან. სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს რომ დაესწროთ, აუცილებლად შეამჩნევთ, როგორ იზრდება ბავშვებში სამოქალაქო ცნობიერება, როგორ ყალიბდებიან პიროვნებებად, ეჩვევიან დისკუსიებს, ეძლევათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას. ამ საგნით განსაკუთრებულად დაინტერესებული მოსწავლეები, მომავალში, როცა სკოლას ამთავრებენ, გამორჩეულად წარმატებულები არიან – გამორჩეული მოქალაქეები, რაც ნამდვილად ამ პროექტის დამსახურებაა.“*

**მაია ნოზაძე**,123-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი: *„ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი ვარ, ძირითადად, მეტი მუშაობა სამოქალაქო განათლების ხაზით მიწევს. სკოლაში შექმნილი მაქვს სამოქალაქო განათლების კლუბი, სადაც ჩართულები არიან როგორც კლუბის წევრები, ასევე მოხალისე მოსწავლეები. ვფიქრობ, დღეს სამოქალაქო განათლება ყველა სკოლაში ძალიან მაღალ დონეზე უნდა იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ გვჭირდება მოქალაქეობრივი აზროვნების, თვითშეგნების ამაღლება. ეს აუცილებელია მომავალი თაობისთვის. რაც უფრო მეტს ვიშრომებთ და მათ სწორ მიმართულებას მივცემთ, ბუნებრივია, ამით უკეთეს საზოგადოებას მივიღებთ.*

*ძირითადად, დამხმარე სახელმძღვანელოებით ვხელმძღვანელობთ, თეორიას პრაქტიკაში სხვადასხვა აქტივობებით ვახორციელებთ – ვაწყობთ აქციებს, ვქმნით სერიოზულ პროექტებს. ამ პროცესებში ჩართულები არიან როგორც მოსწავლეები, ასევე თემიც. მაგალითად, გავაკეთეთ ასეთი პროექტი – მოვაწყვეთ აქცია, რათა აკრძალულიყო აფთიაქებში ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვა, ასევე გავაკეთეთ პროექტები ბავშვთა სახლებში, დავეხმარეთ გლდანის ბავშვთა სახლს, მომავლის სახლს და სხვ. ეს ხელს უწყობს მოქალაქის სწორად ფორმირებას, სწორად აღზრდას. სამი წელია, ჩართული ვარ პროექტში. ამ ხნის განმავლობაში ჩაგვიტარდა ტრენინგები. ეს იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ ახლა მოსწავლეები თვითონ ატარებენ ტრენინგებს იმ სკოლების მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ არიან ჩართულები ამ პროექტში. ბუნებრივია, ეს მეტყველებს სამოქალაქო განათლების სწავლების კარგ შედეგებზე – ჩვენი მოსწავლეები კარგად არიან ინფორმირებულები და გათვითცნობიერებულები სამოქალაქო განათლების კუთხით, მათ უკვე შეუძლიათ სხვებს დაეხმარონ.*

*გვაქვს ასეთი პროექტი – „მწვანე პარტიზანები“ – რომელიც ქალაქის დასუფთავებას გულისხმობს. ამ პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა დაასუფთავეს ძველი თბილისი, მთაწმინდის პარკი, ვაჟა-ფშაველას ძეგლი, სკვერები.“*

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის დირექტორმა, **მარინა უშვერიძემ** სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის საქმიანობას და შედეგებს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და პედაგოგებს მოუწოდა, არ შეანელონ აღებული ტემპი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის სამოქალაქო ფორმირებას უწყობს ხელს: *„დღეს აქ შეიკრიბნენ სამოქალაქო განათლების პედაგოგები საქართველოს ყველა კუთხიდან. ღონისძიება ტრადიციულია და ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან საზოგადოება ამ საგნის სწავლებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. პედაგოგთა ყოველწლიურ ფორუმს ვაწყობთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტად ჩაერთონ პედაგოგები ამ პროცესებში, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება, ვისაუბროთ პრობლემებსა თუ მიღწევებზე. კონფერენცია-გამოფენაზე პედაგოგები პროექტების სახით წარმოადგენენ მათ მიერ განხორციელებულ ინიციატივებს. კონფერენციის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის და ვფიქრობ, საინტერესოც. USAID-ის მიერ დაფინანსებული სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში უკვე გადამზადდა 860 პედაგოგი, საქართველოს სკოლების 30%-ია დაფარული; შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელოები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, მათ ეს სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცათ. გარდა ამისა, ჩამოდიან ამერიკელი კოლეგები და ჩვენს პედაგოგებს მასტერ-კლასებს უტარებენ, როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი სამოქალაქო განათლებაში; ხორციელდება სხვა აქტივობებიც.*

*ვფიქრობ, სამოქალაქო განათლების პედაგოგების სახით გვყავს ბირთვი, რომელიც ჩვენი მომავალი თაობის სამოქალაქო ფორმირებას ღირსეულად წარმართავს. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ამ ორგანიზაციის მხარდაჭერის გარეშე რთული იქნებოდა ამ პროგრამის განხორციელება და იმ მიღწევებზე საუბარი, რაც მასწავლებლების უშუალო მონაწილეობით და ძალისხმევით მივიღეთ. სწორედ ამიტომ ძალიან ვაფასებთ ამ ორი მხარის თანამშრომლობას.*

*თითოეული პედაგოგი უკვე გრძნობს ძალას, რაც ამ საგანს აქვს. როდესაც პირველად, 2012 წელს, ფილარმონიაში შევიკრიბეთ, იქ დღევანდელი აუდიტორიის ნახევარი იყო და მაშინ ვსაუბრობდით იმაზე, როგორ დაგვეინტერესებინა პედაგოგები სამოქალაქო განათლებით. დღეს კი, თამამად შემიძლია ვთქვა, როცა ამდენ ენთუზიასტ პედაგოგს ვხედავ, ეს პრობლემა აღარ არსებობს, ჩვენ უკვე იმაზე ვფიქრობთ, მეტად როგორ გავაუმჯობესოთ სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხი. მომავალი თაობისთვის დემოკრატიული ღირებულებებისა და ეროვნული ღირებულებების სწორად ფორმირების პროცესში თქვენი, პედაგოგების, როლი გაცილებით დიდია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანისა. სწორედ თქვენ ზრდით ადამიანებს, რომლებმაც ქვეყნის ცხოვრებაში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ. ამიტომ მინდა გითხრათ, რომ ერთად უფრო მეტი ვიფიქროთ ამ მნიშვნელოვანი საქმის კეთებაზე. ასეთი დისკუსიები და შეხვედრები კი, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.*

*პროექტი მეოთხე წელია მიმდინარეობს და წელს, აკადემიური სასწავლო წლის დასრულებისას, დამთავრდება. როგორც უკვე გითხარით, პროექტით დაფინანსებულია სკოლების 30%, მხარდაჭერილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რაც იძლევა იმედს, რომ ის შემდგომში უფრო ფართო მასშტაბით ჰპოვებს გაგრძელებას“.*

## სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის 2014 წლის ნომინანტები

### სასკოლო სამოქალაქო კლუბის საუკეთესო მეურვე

1. **მაია ნოზაძე** – *თბილისის № 123 საჯარო სკოლა;*
2. **იზოლდა ხოდელი** – *შიდა ქართლი, ქარელი, დაბა აგარის საჯარო სკოლა;*
3. **მაია ლეშკაშელი** – *რაჭა-ლეჩხუმი, ამბროლაური, სოფელ სადმელის საჯარო სკოლა;*
4. **ეკატერინე თაკაშვილი** – *მცხეთა-მთიანეთი, მცხეთა, სოფელ ძალისის საჯარო სკოლა;*
5. **მანანა გეჯაძე** – *კახეთი, სიღნაღი, სოფელ საქობოს საჯარო სკოლა;*
6. **ხათუნა ბარამიძე** – *გურია, ოზურგეთი, სოფელ ბახვის საჯარო სკოლა;*
7. **მარინა ბროიანი** – *სამცხე-ჯავახეთი, ასპინძა, სოფელი დამალას სომხურენოვანი სკოლა;*
8. **ლალი აბდუშელიძე** – *აჭარა, ბათუმის №14 საჯარო სკოლა;*
9. **ლიანა კერესელიძე** – *ქვემო ქართლი, ბოლნისის №5 საჯარო სკოლა;*
10. **ქეთევან კობეშავიძე** – *იმერეთი, ქუთაისის №25 საჯარო სკოლა;*
11. **ბელა ქვარცხავა** – *სამეგრელო-ზემო სვანეთი, ხობი, სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლა.*

საერთაშორისო ოლიმპიადა

# ნორჩ მეცნიერთა ინოვაციური გამოგონებები

მაკა ყიფიანი

3-4 მაისს „თბილისი მოლმა“ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VIII საერთაშორისო ოლიმპიადას IYIPO უმასპინძლა. ოლიმპიადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საელჩოების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 36 ქვეყნის 120 გამოგონება. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ოლიმპიადაში ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ. გამარჯვებული მონაწილე ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს ასპარეზობას. ოლიმპიადის მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საკუთარი ინოვაციური გამოგონებების ფართო წრეებისთვის გაცნობაში. ოლიმპიადა ხელს უწყობს ახალგაზრდებში სამეცნიერო უნარების და ინოვაციაზე დამყარებული ბიზნესიდეების განვითარებას; სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდებს შორის კულტურული კავშირების გაღრმავებას. ამ მიზნით, ოლიმპიადის თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, საკონკურსო ექსპონატთან ერთად, საკუთარი ქვეყანა საზოგადოებისთვის გაეცნო. საქართველოში ჩამოსული 36 ქვეყნის წარმომადგენლების უმეტესობას ქართული ოჯახები მასპინძლობდნენ.

5 მაისს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი **ლია გიგაური** ესწრებოდა, რომელმაც პირველ ადგილზე გასული 25 პროექტის ავტორი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

საოლიმპიადო პროექტებს პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტებული ჟიური აფასებდა და საბოლოოდ, თითოეულ დისციპლინაში ოთხი საუკეთესო პროექტი გამოვლინდა. გამარჯვებულები დასახელდნენ შემდეგ საოლიმპიადო დისციპლინებში: ფიზიკა, მათემატიკა, ინჟინერია, თანამედროვე ტექნოლოგიები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

შეგახსენებთ, რომ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VIII საერთაშორისო ოლიმპიადა, ყოველწლიურად, გაზაფხულზე იმართება და მისი ორგანიზატორია „ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებები“. ოლიმპიადაში VII-XII კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ, რომელთაც საკუთარი გამოგონებები აქვთ.

**გუგა პაქსაძე**, ბათუმის შაჰინის სკოლა: *მეორე წელია, IYIPO-ს ოლიმპიადაში ვმონაწილეობ, ძალიან მიხარია. წელს ჩემს მეგობართან,* ***ალექსი თურმანიძესთან*** *ერთად წარმოვადგინე კომპიუტერული თამაში.*

**ნინო ლონდარიძე**, თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი: *ოლიმპიადაზე წარმოდგენილი მაქვს პროექტი „ყურძნის ზეთის ანტიოქსიდანტური თვისებები“. ყურძნის ზეთის მიღება ყურძნის წიპწისგან ცივი დაწნეხვის მეთოდით ხდება, სპეციალური აპარატით. ზეთი შეიცავს ძალიან ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, ვიტამინებს, ამინებს, ამინომჟავებს. კვლევა ჩავატარეთ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, ვირთაგვებზე. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფის სიმსივნით დაავადებული ცხოველები, რომლებიც ამ ზეთით იკვებებიან, უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ.*

**ბეჰმუდ ალიევი**, რუსთავის ჩაღლარის სკოლა-ლიცეუმი: *მე და ჩემმა მეგობარმა,* ***აისუ აჰმედოვამ****, წარმოვადგინეთ პროექტი – „ხელოვნური ტვინი“, ანუ კომპიუტერული პროგრამა, რომელიც რასაც ეტყვი, იმას აკეთებს. ამ პროგრამის გამოყენება შეიძლება კომპიუტერული თამაშების დროს, მედიცინაში, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. მაგალითად, შეგიძლიათ უთხრათ თქვენი სახლის კარს – გაიღე და გაიღება, დაიხურე – დაიხურება, შეგიძლიათ უბრძანოთ – აანთე შუქი და აინთება.*

**დავით ჩხეიძე**, ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა: *მე და ჩემმა მეგობარმა,* ***გიორგი ჭელიძემ****, წარმოვადგინეთ „ჭკვიანი მწოლიარე პოლიციელი“. პროექტის მიზანია გზებზე ავტომობილების სიჩქარის რეგულირება. ეს გამოგონება საკმაოდ ეფექტური საშუალებაა, მაგრამ ერთნაირად სჯის როგორც მოუწესრიგებელ და დამრღვევ მძღოლებს, ასევე კანონმორჩილებსაც. ამიტომ „ჭკვიანი მწოლიარე პოლიციელის“ დასამონტაჟებლად, რკინის ნაცვლად, არანიუტონისებრ სითხეს ვთავაზობთ, რომელიც მხოლოდ ჩქარი გადასვლის შემთხვევაში დააზიანებს მანქანას.*

**ნიკა ალავიძე**, ქუთაისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა: *მე წარმოვადგინე კვერცხის ნაჭუჭზე მიკრობზარების აღმომჩენი აპარატი. პროექტის მიზანია, კვერცხისმწარმოებელ ქარხნებში გაბზარული და გაუბზარავი კვერცხების გადარჩევის პროცესის გამარტივება. აპარატი მაღალ ძაბვაზე მუშაობს, კვერცხზე ბზარების აღმოჩენის შემთხვევაში იწყებს რეაგირებას – ანთებს წითელ შუქს. IYIPO-ს ოლიმპიადაში მესამედ ვმონაწილეობ, ორჯერ პირველი ადგილი ავიღე, შარშან ლეონარდო და ვინჩის კონკურსზე გავიმარჯვე – გრან-პრის მფლობელი გავხდი. აგვისტოში, ორი კვირით, ბრიტანეთში მივდივარ და მერე ლოს-ანჯელესში – ოლიმპიადაზე. იმედი მაქვს, ჩემს ახალ პროექტსაც მოიწონებენ.*

**ბაჩუკი ჩხარტიშვილი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლა: *ჩემი პროექტია „თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მშვილდი“. პროექტის მიზანია მშვილდის ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება, გამომგონებლების უნარების, შრომისმოყვარეობისა და ფანტაზიის განვითარება. თანამედროვე მშვილდი აღჭურვილია მობილური ტელეფონით, რათა გადავიღოთ ნადირობის ან თევზაობის ვიდეო. მშვილდს აქვს სათევზაო და სანადირო, ფეთქებადი ისრები. რადგან საქართველოში ნადირობა იკრძალება, ამიტომ თანამედროვე მშვილდი 3D თამაშებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ. ოლიმპიადაში პირველად ვმონაწილეობ.*

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# საქართველოში სასკოლო განათლების სისტემა შესაცვლელია

**რუბრიკის სტუმარია გრაციის კარლ-ფრანცის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი სოსო შაყულაშვილი**

**– სოსო, როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი და რამდენად წარმატებული მოსწავლე იყავი?**

– მოსწავლეობის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ვერცხლის მედალზე დავამთავრე თბილისის კერძო სკოლა-კომპლექსი „სადუნი“. საკმაოდ წარმატებული მოსწავლე ვიყავი. სკოლის პერიოდში გავიმარჯვე სატელევიზიო პროექტ „ეტალონში“. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სამკურნალო ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში დიდი წარმატებებისთვის ჯერ არ მიმიღწევია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მალე დასახულ მიზანს მივაღწევ.

**– პირველივე კურსიდან სწავლის გასაგრძელებლად ავსტრიაში მიემგზავრები, რა პროგრამით გაემგზავრე და რომელ უნივერსიტეტზე გააკეთე არჩევანი?**

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად ავსტრიაში წამოვედი, ქალაქ გრაცში, კარლ-ფრანცის უნივერსიტეტში, საქართველოში არსებული სტუდენტის ადგილის საფუძველზე, თუმცა დამჭირდა დამატებითი გამოცდის ჩაბარება და პირველ კურსზე დამსვეს. ამჟამად გრაცის კარლ-ფრანცის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ და სამკურნალო ფაკულტეტზე ვსწავლობ. ქალაქ გრაცს, როგორც სტუდენტურ ქალაქს, ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს. აქ ექვსი უნივერსიტეტია. გრაცის ძველი ქალაქი ერთ-ერთი საუკეთესოდ შემონახული ქალაქის ცენტრთაგანია ცენტრალურ ევროპაში და შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

**– მიამბე გრაცის უნივერსიტეტის შესახებ – სასწავლებლის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? რა წესით გამოიყოფა სტიპენდია სტუდენტებისთვის?**

– გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტი უძველესია, დაარსდა 1585 წელს. აქ 30 000 სტუდენტი სწავლობს. სამედიცინოზე მოხვედრა ძალიან ძნელია. დამატებითი გამოცდების ჩაბარებაა საჭირო, რასაც სხვა ფაკულტეტზე არ მოითხოვენ. სწავლის საფასური სემესტრში 750 ევროს შეადგენს. რაც შეეხება სტიპენდიას – გათვლილია მხოლოდ I და II რიგის ქვეყნების მოქალაქეთათვის, ანუ მხოლოდ ევროპელებისთვის.

**– რომელ ფაკულტეტზე სწავლობ და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?**

– ვსწავლობ სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ჩემი მომავალი პროფესიის არჩევაზე დიდი გავლენა იქონია დედამ, როდესაც მის გაბრწყინებულ, მაგრამ ამავე დროს დაქანცულ სახეს ვხედავდი, ყოველთვის მინდოდა, მსგავსი გრძნობა ცხოვრებაში მეც გამომეცადა. ექიმი რომ გახდე, სამწუხაროდ, მარტო სურვილი არ კმარა. ამისთვის, ალბათ, რაღაც მოწოდებაა საჭირო. ძალიან მიხარია, რომ ამ მოწოდებას და პროფესიულ ბედნიერებას დედაში ვხედავ და ალბათ, ჩემშიც იჩენს თავს, მემკვიდრეობით და ღვთის შეწევნით.

**– რას ნიშნავს შენთვის იყო კარგი ექიმი, როგორ წარმოგიდგენია ამ პროფესიაში შენი თავი?**

– სამწუხაროდ, ამ პროფესიაში ჯერ ჩემს თავს ვერ ვხედავ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჯერ ზუსტი პროფესია არ მაქვს არჩეული. დედის გავლენაა ალბათ ისიც, რომ მინდოდა ოფთალმოლოგი გამოვსულიყავი, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან რატომღაც კაბინეტში თეთრი ხალათით ჯდომა არ მხიბლავს. ალბათ, მომავალში უფრო სამეცნიერო განხრით გავაგრძელებ სწავლას, უჯრედულ დონეზე მკურნალობას, რაც დღეისათვის უფრო აქტუალურია.

**– რა პრივილეგიებით სარგებლობენ გრაცის უნივერსიტეტში წარჩინებული სტუდენტები? არის თუ არა სტუდენტებისთვის რაიმე შეღავათები?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, გრაცის უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, მხოლოდ ევროპის მოქალაქეთათვისაა სტიპენდიები. უხეშად რომ ვთქვა, არაევროპელებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ. ისინი, 15 კრედიტის (2 ძირითადი და 1 მეორადი საგნის) ჩაბარების შემთხვევაში, სწავლის საფასურისგან თავისუფლდებიან. ზოგადად, ძალიან ბევრი შეღავათია სტუდენტებისთვის, თუნდაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სათხილამურო კურორტებზე, მატარებლის ბილეთებზე და სხვა მრავალი.

**– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ. როგორც წესი, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?**

– უნივერსიტეტში ძალიან ხშირად ჩამოჰყავთ ლექტორები სხვადასხვა ქვეყნიდან, ძირითადად, ამერიკიდან და აზიიდან, რომლებიც თავიანთ გამოცდილებასა და აზრებს უზიარებენ როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გამიჭირდება კონკრეტული პირების დასახელება.

**– რა შეგიძლია გვითხრა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე**

– თავდაპირველად მინდა ვთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გრაცის სამედიცინო ბიბლიოთეკა თავისი სიმდიდრით – სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია სამი მილიონი წიგნი, ორი ათასი ხელნაწერი და ათას ორასი უძველესი ნაშრომი.

**– როგორია ავსტრიული განათლების სისტემა? რა თქმა უნდა, ეს ძალიან ვრცელი თემაა, მაგრამ მოგვიყევი იმის შესახებ, რასთანაც უშუალოდ გაქვს შეხება**

– ყველაზე მნიშვნელოვანია ალბათ ის ფაქტი, რომ ავსტრიელების თორმეტ პროცენტს არ აქვს ატესტატი, ხოლო 6-მა პროცენტმა საერთოდ არ იცის წერა-კითხვა. ქართული სასკოლო განათლება არაფრით ჩამოუვარდება ავსტრიულს, რასაც საუნივერსიტეტო განათლებაზე ვერ ვიტყვი. ჩემი მხრიდან, ალბათ უხერხული იქნებოდა შედარებაც კი. ერთ პატარა ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ლექტორს აუცილებლად ფეხზე ამდგარი უნდა შეხვდე. მაშინაც მიკვირდა, თუ რატომაა ეს ფორმალობა საჭირო?! აქ, აუდიტორიაში, ლექტორის შემოსვლისას, რომელიც დაახლოებით 24-25 წლის კაცია, ძალაუნებურად წამოვდექი. არასოდეს დამავიწყდება მისი გაოცებული სახე. ჩემი აზრით, ამით ბევრი რამაა ნათქვამი.

**– უცხოეთის სასწავლებლებში სტუდენტებისთვის ხშირად ეწყობა სამოგზაურო ტურები, ხომ არ გეგმავ სხვა ქვეყანაში წასვლას?**

– დიახ, ძალიან ბევრი გასვლითი ტურებია. ძირითადად მოსაზღვრე ქვეყნებში, მაგრამ ჯერჯერობით მე ეს არ შემხებია.

**– ბევრ ქვეყანაში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ. გაქვს მუშაობის შესაძლებლობა?**

– დიახ, რა თქმა უნდა, მაქვს მუშაობის უფლება 20 საათი თვეში. თუმცა, სამწუხაროდ, სამუშაოდ დრო არ მაქვს. სურვილი კი ძალიან დიდია, რომ მთლიანად დამოკიდებული არ ვიყო მშობლებზე და ასევე თავდაჯერებულობა მომემატოს. სახალისოცაა, ჩემი აზრით, ახალი ხალხის გაცნობა და ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, რომელიც აუცილებელია და ყველას სჭირდება.

**– მიამბე, როგორ ცხოვრობენ ავსტრიელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?**

– ავსტრიელი ახალგაზრდები ძალიან ლაღად ცხოვრობენ, მრავალი შესაძლებლობა აქვთ ქართველი ახალგაზრდებისგან განსხვავებით. მრავალ დარგს ეუფლებიან, მათი სურვილის შესაბამისად, რადგან გზა გახსნილი აქვთ მთელ ევროპაში. გამოკვეთილად ერთი დარგი არ აქვთ არჩეული. აქ განვითარებულია მიწათმოქმედება, გადაზიდვები, ჰიდროელექტრო სისტემა და მრავალი სხვ.

ნაკლებად არიან დამოკიდებული მშობლებზე. ხშირად მხოლოდ არდადეგებზე ხვდებიან მათ. ერთობიან, ძირითადად, ერთმანეთთან ურთიერთობით. მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ, რაც მოესურვებათ და რისი საშუალებაც აქვთ, კანონის ფარგლებში, რა თქმა უნდა.

**– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?**

– თავისუფალ დროს, ძირითადად, ჩემს მეგობრებს ვუთმობ, ვესაუბრები სკაიპით ან აქაურ მეგობრებთან ერთად გავდივარ სასეირნოდ. ჩემი საბოლოო ადგილი, რა თქმა უნდა, თბილისია. ამას ალტერნატივა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ასე ვფიქრობ, მაგრამ ძალიან რთულია ეს ყველაფერი დღევანდელი გადმოსახედიდან. საჭიროა მეტად დავაფასოთ საქართველოში ექიმები.

**– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?**

– ჩემი აზრით, აქ მიღებული სამედიცინო განათლება თბილისში დასაქმებაში ძალიან დამეხმარება. ჩემი მიზანიც სწორედ ესაა, რომ კარგი სამუშაო გარემო შეიქმნას, მაგრამ რეალურად დიპლომი ბევრს არაფერს წყვეტს, მთავარია ცოდნა. აქ მიღებული ცოდნით კი, სტუდენტს ძალიან ბევრი გზა აქვს ხსნილი. თუმცა, საქართველოში ყველაფერი პირიქითაა. ძალიან ბევრი კარგი პროფესიონალი ბრუნდება უკან, საზღვარგარეთ, რათა მეტად დააფასონ. მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობა ხომ ძალიან ძნელია.

**– სოსო, რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დიდი სურვილი აქვთ**

– პირველ რიგში, ვურჩევ, სწორი არჩევანი გააკეთონ პროფესიის განსაზღვრისას, რაც ძალიან რთულია საქართველოს პირობებში. ამ მხრივ გამიმართლა, რადგან დედის მაგალითი მქონდა. ჩემი აზრით, საქართველოში სასკოლო განათლების სისტემა შესაცვლელია. მოსწავლეებს დამამთავრებელ კლასებში სხვადასხვა მიმართულებები უნდა შევთავაზოთ. მეტი შეხება უნდა ჰქონდეთ მომავალ პროფესიასთან, რაც სწორი არჩევანის გაკეთებას გაუადვილებთ.

**– რადიო თვისუფლებასთან მიცემულ ინტერვიუში საუბრობ პაოლო იაშვილის ერთ-ერთ ლექსზე, რომელიც შემთხვევით ავსტრიულ გაზეთში აღმოაჩინე, მიამბე ამ ისტორიის შესახებ.**

– სამწუხაროდ, პაოლო ამ ლექსის ქართული ანალოგი ვერ ვიპოვე. ეს არის პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, დაწერილი ლექსი. ჩემმა კურსელმა მომცა გაზეთი და მითხრა: ნახე, მგონი ქართველიაო. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა და, ამავე დროს, ძალიან გამიკვირდა, რადგან ევროპამ არ იცის ილია, აკაკი, გალაკტიონი, ვაჟა და გამოაქვეყნეს პაოლოს ლექსი.

**– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. შორიდან, მართლა უკეთესი ჩანს ჩვენი ქვეყანა, ვიდრე სინამდვილეშია? ავსტრიული გადმოსახედიდან როგორ შეაფასებ ჩვენს ქვეყანას?**

– პირველი სემესტრის განმავლობაში ძალიან მენატრებოდა საქართველო. მზად ვიყავი, დამეტოვებინა ყველაფერი და წამოვსულიყავი, მაგრამ ჩამოსვლიდან ერთ კვირაში უკვე საოცარი გაუცხოება ვიგრძენი, უკვე ვეღარ ვძლებდი თბილისში. აქედან ვეტრფი ჩემს ქვეყანას, ყოველ წამს მენატრება ის სითბო, ხალხი, მაგრამ აქაური საქმე და ჩემი დასახული მიზანი ყველაფერს ფარავს. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, რა მოხდებოდა, რომ ჩემს ქვეყანაში ვიღებდე ამ განათლებას და ვხვდები, რა ბედნიერია ავსტრიელი ხალხი, რომ ასეთი დალხენილი ცხოვრება აქვთ, რადიკალურად განსხვავებული ჩვენგან.

ესაუბრა
**მაკა ყიფშიანი**

*ბიოლოგია*

# დაწყებითი საფეხურისა და V–XII კლასების პედაგოგებისათვის

ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

*დასასრული*

მრავალრიცხოვანი არაგენეზია გამოვლენილი ცხოველთა ევოლუციაშიც. ხმელეთზე გადასვლისას მტევანფარფლიანი თევზების ფარფლები თანდათან ხმელეთზე სასიარულო კიდურებად გადაიქცა, ხოლო ატმოსფერული ჟანგბადით სუნთქვამ გამოიწვია საცურაო ბუშტის ფილტვებად გარდაქმნა. ფილტვების განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა სისხლის მიმოქცევის მცირე წრე და გულიც სამსაკნიანი გახდა. ამრიგად, ხუთთითიანი კიდური, ფილტვი და სამსაკნიანი გული ის არაგენეზია, რომლითაც მტევანფარფლიანი თევზებიდან წარმოიქმნა უძველესი ამფიბიები.

**პირველყოფილი ამფიბია**

შემდეგი არაგენეზი იყო შინაგანი განაყოფიერების წარმოქმნა და კვერცხის ნაჭუჭით დაფარვა. უძველესი ამფიბიები დასაბამს აძლევენ უძველეს ქვეწარმავლებს, რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ დედამიწაზე. ისინი სახლობდნენ ხმელეთზე, წყალში და ხეებზე. როგორც ფიქრობენ, შედარებით მცირე ზომის ქვეწარმავლები, რომლებიც ხეებზე ცხოვრობდნენ, დასაბამს აძლევენ ფრინველებს. მათი წინა კიდურები ფრთებად გადაიქცა, ქერცლებიდან ბუმბული წარმოიშვა, ფრენასთან დაკავშირებული კუნთები განვითარდა ა.შ. თუმცა, ძირითადი არაგენეზი იყო ოთხსაკნიანი გული და მისი შედეგი – თბილსისხლიანობა. აღმოჩენილია ნამარხი გარდამავალი ფორმა ქვეწარმავლებიდან ფრინველებისაკენ – არქეოპტერიქსი.

**არქეოპტერიქსი და მისი ანაბეჭდი ქვაზე (მარცხნივ)**

ფიქრობენ, რომ უძველეს ქვეწარმავალთა შორის ყოფილან ნადირხვლიკები, რომლებიც ზოგიერთი ნიშნით ძუძუმწოვრებს ჰგავდნენ, მათ ძუძუმწოვრების მსგავსად სხვადასხვა ფორმის კბილები ჰქონდათ.

**მხეცკბილა ხვლიკი**

ოთხსაკნიანი გული, თბილსისხლიანობა, საშვილოსნო და ჩანასახის დედის ორგანიზმში განვითარება, სარძევე ჯირკვლები და ნაშიერის რძით გამოკვება და მასზე ზრუნვა ის არაგენეზია, რომლის შედეგადაც უძველესი ქვეწარმავლებიდან დასაბამი ეძლევა უძველეს ძუძუმწოვრებს.

ხერხემლიანთა ევოლუციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაგენეზები იყო თავის ტვინის გარდაქმნა, დიდი ნახევარსფეროების ქერქის პროგრესული განვითარება. ყოველივე ამან მკვეთრად აამაღლა ნერვული სისტემის მოქმედების დონე, გაართულა პირობითი რეფლექსების სისტემა და ბუნებაში ცხოველთა ქცევის ფორმები. არაგენეზმა ცხოველური წინაპრებიდან ადამიანის წარმოშობა გამოიწვია.

**ალოგენეზი** (**allos** – სხვა, ბერძნულიდან) ევოლუციის ყველაზე გავრცელებული გზაა, რომელიც ხელს უწყობს განსაზღვრულ გარემო პირობებთან შეგუებას. მას არ ახლავს არც ორგანიზაციის ძირითადი ნიშნების ცვლილება, არც მისი საერთო დონის ამაღლება და ორგანიზმთა ცხოველქმედების ინტენსივობა. ალოგენეზის დროს ხდება ნიშანთვისებათა დაცილება – **დივერგენცია.** ამ გზით მიიღება მცირე სისტემატიკური ჯგუფები – სახეობები, გვარები, ოჯახები. ქვემოთ მოცემულ სურათებზე წარმოდგენილია ალოგენეზით მიღებული ორგანიზმები სხვადასხვა ტაქსონომიურ ჯგუფებში.

ტიპი Gnetophyta-წარმომადგენლები შეიცავს სამ გვარს, რომლებიც სახლობენ უდაბნოებსა და ტროპიკებში.

**Welwitschia mirabilis გვხვდება მხოლოდ სამხრეთ აფრიკის უდაბნოებში**

**Ephedra 40-მდე სახეობაა, რომლებიც მსოფლიოს არიდულ რეგიონებშია გავრცელებული**

**Ginetum ტროპიკული ხეების, ბუჩქებისა და ლიანების 35-მდე სახეობას აერთიანებს, რომლებიც მეტწილად აფრიკასა და აზიაში გვხვდება (კემპბელი)**

განსხვავებულ პირობებში მოხვედრილი ქვეწარმავლების ალოგენეზის შედეგადაა მიღებული ამჟამად არსებული ქვეწარმავლების ოთხი ჯგუფი: ხვლიკები, გველები, კუები და ნიანგები. ზოგიერთი კუ და ნიანგი კვლავ წყალში დაბრუნდა, მაგრამ სუნთქავენ ატმოსფერული ჟანგბადით და მრავლდებიან ხმელეთზე.

**ამერიკული ალიგატორი**

**გატერა**

**აღმოსავლეთის ყუთისებური კუ**

**ავსტრალიური ეკლიანი სატანის ხვლიკი**

**ჩხრიალა გველი**

ფრინველები ალოგენეზის გზით შეეგუვნენ ველებში, უდაბნოებში, ხეებზე, წყალსატევებთან და ჰაერში საკვების მოპოვებასთან არსებობას და ამჟამად ფრინველების მრავალი სახეობაა გავრცელებული. ქვემოთ სურათებზე რამდენიმე მაგალითია ნაჩვენები.

**მალარდი**

**სოფლის მერცხალი**

**მუქზურგა ალბატროსი**

**სირაქლემა ემუ**

**კატაგენეზი** (**katagenezis** – ძირს დაშვება, ბერძნულიდან) ისეთი ევოლუციური ცვლილებებია, რომლებიც ორგანიზაციის გამარტივებას იწვევს. მას ჩვეულებრივ თან ახლავს მთელი რიგი ისეთი ორგანოების გაქრობა, რომელთაც დაკარგეს ბიოლოგიური მნიშვნელობა. ხშირად ეს ხდება პარაზიტულ ცხოვრებაზე გადასვლისას. მაგალითად, ღორის სოლიტერი – ადამიანისა და ცხოველების ნაწლავების პარაზიტი თასმა ჭია. აბრეშუმა – მცენარეების პარაზიტი. მას არა აქვს ფოთოლი, ხოლო ფესვების ნაცვლად ღეროებზე აქვს მისაწოვრები, რომლითაც მასპინძელ მცენარეს წოვს საკვებ ნივთიერებებს.



**თასმა ჭიის აგებულება. ელექტრონული მიკროსკოპით დანახული კოლექსი – თავის ბოლო, რომელიც შეიარაღებულია მისაწოვრებითა და კაუჭებით, რითაც ემაგრება მასპინძლის ნაწლავის კედელს (კემპბელი)**

ორგანიზაციის დაქვეითება არ გამორიცხავს სახეობის აყვავებას. პარაზიტების ბევრი ჯგუფი თავს ლაღად გრძნობს, მაშასადამე კატაგენეზსაც შეუძლია გამოიწვიოს **ბიოლოგიური პროგრესი**, რომელშიც იგულისხმება ორგანიზმთა რიცხობრიობის ზრდა, არეალის გაფართოება, სახეობებისა და პოპულაციების რიცხვის ზრდა. რაც შეეხება **ბიოლოგიურ რეგრესს**, მასში იგულისხმება ინდივიდთა რიცხვის შემცირება, არეალის შევიწროება, სახეობებისა და პოპულაციების რიცხვის შემცირება.

ცოცხალი ორგანიზმების სხვადასხვა ჯგუფის ევოლუციაში არაგენეზი გაცილებით იშვიათად ხდება, ვიდრე ალოგენეზი. ახალი, შედარებით მაღალორგანიზებული, ჯგუფების წარმოშობა ხდება არაგენეზის გზით და, ამავე დროს, ისინი ხშირად გადადიან ახალ საბინადრო გარემოში (მაგალითად, წყლიდან ხმელეთზე), შემდეგ ევოლუცია გრძელდება ალოგენეზის, ზოგჯერ კი კატაგენეზის გზით.

ყოველი არაგენეზი შესაძლებლობას აძლევს ალოგენეზს, რომელიც უზრუნველყოფს, ორგანიზაციის დონის აუმაღლებლად, გარემოში უფრო სრულად განსახლებას და მასში სხვადასხვა ადგილსამყოფელის დაპყრობას.

პედაგოგთა დასახმარებლად

*გეოგრაფია*

# თეორიები დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ

**მანანა სეხნიაშვილი**
**გეოგრაფიის მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გეოგრაფიის ტრენერი**

სიცოცხლის წარმოშობის შესახებ რამდენიმე თეორიაა, ესენია:

**1. კრეაციონიზმი** – სიცოცხლე შექმნა ზებუნებრივმა არსებამ, ღმერთმა, განსაზღვრულ დროს.

**2 თვითჩასახვა** – სიცოცხლე წარმოიქმნა არაერთჯერადად არაცოცხალისაგან.

**3. სტაციონარული მდგომარეობის თეორია** – სოცოცხლე ყოველთვის არსებობდა.

**4. პანსპერმია –** სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე შემოტანილია გარედან.

**5. ბიოქიმიური ევოლუცია** – სიცოცხლე წარმოიქმნა იმ პროცესების შედეგად, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ და ქიმიურ კანონებს.

**კრეაციონიზმი**. ამ თეორიის თანახმად, სიცოცხლე შექმნა ღმერთმა წარსულში. ამ თეორიას იზიარებენ თითქმის ყველა გავრცელებული რელიგიის მიმდევრები. 1650 წელს ირლანდიელმა არქიეპისკოპოსმა აშერმა გამოთვალა, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო 4004 წლის ოქტომბერში ჩვენს ერამდე და თავისი შრომა დაასრულა ადამიანის შექმნით 23 ოქტომბრის 9 საათზე. აშერი დაეყრდნო ამ თარიღს და გამოთვალა ბიბლიურ გენეალოგიაში ნახსენები ყველა ადამიანის – ადამიდან ქრისტემდე – ასაკი. ამ გამოთვლების მიხედვით, ადამი ცხოვრობდა მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთში კარგად განვითარებული ქალაქების ცივილიზაციები არსებობდა (ეს მონაცემები გაკეთებულია არქეოლოგიური მონაპოვრებით).

ტრადიციული იუდაურ-ქრისტიანული წარმოდგენები სამყაროს შექმნაზე, რომელიც გადმოცემულია შექმნათა წიგნში, დღესაც საკამათოა. მის მიხედვით, ღმერთმა სამყარო და ყველა ცოცხალი შექმნა 6 დღეში. ეს მოხდა ერთხელ და ამიტომ დაკვირვებისათვის მიუწვდენელია. ასე მიაჩნიათ მორწმუნეებს. რაც შეეხება მეცნიერებას, იგი შეისწავლის იმ მოვლენებს, რომლებზედაც შეიძლება დაკვირვება, ამიტომ მეცნიერება ვერც დაამტკიცებს და ვერც უარყოფს ამ კონცეფციას.

**თვითჩასახვის თეორია** გავრცელებული იყო ძველ ჩინეთში, ბაბილონსა და ეგვიპტეში. ამ თეორიის თანახმად, ცოცხალი ორგანიზმები თავისთავად ჩნდებიან არაცოცხალი მასალისაგან. **არისტოტელე**, რომელსაც ხშირად მიიჩნევენ ბიოლოგიის ფუძემდებლად, ემხრობოდა ამ თეორიას. საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით, მან დააკავშირა ყველა ცოცხალი ორგანიზმი უწყვეტ რიგში – „ბუნების კიბე“ (scala naturae). არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ბუნება სრულყოფს არაცოცხალი ობიექტებიდან ცოცხალზე გადასვლას ისეთი თანმიმდევრობით, რომ შუალედურ რგოლში ათავსებს არსებებს, რომლებიც ცხოვრობენ, მაგრამ ცოცხლები არ არიან, რომ მეზობელ ჯგუფებს შორის მჭიდრო სიახლოვის გამო განსხვავება ძნელად შესამჩნევიაო. არისტოტელეს ჰიპოთეზის თანახმად, ნივთიერებების განსაზღვრული ნაწილაკები შეიცავს რაღაც „აქტიურ საწყისს“, რომელსაც შესაბამის პირობებში ცოცხალი ორგანიზმის შექმნა შეუძლია. არისტოტელე მართალი იყო, როცა თვლიდა, რომ ამ აქტიურ საწყისს შეიცავს განაყოფიერებული კვერცხი, მაგრამ ცდებოდა, როცა მის არსებობას მზის სინათლეში, წყალსატევის ფსკერში და დამპალ ხორცში აღიარებდა.

**ვან ჰელმონტმა** (1577-1644), საკმაოდ ცნობილმა და წარმატებულმა მეცნიერმა, აღწერა ექსპერიმენტი, რომელშიც თითქოსდა სამ კვირაში შექმნა თაგვები. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ჭუჭყიანი პერანგი, ბნელი კარადა და ერთი მუჭა ხორბალი. თაგვების ჩასახვის პროცესში აქტიურ საწყისად ჰელმონტი ადამიანის ოფლს მიიჩნევდა.

1688 წელს იტალიელმა ბიოლოგმა და ექიმმა **ფრანჩესკო რედიმ** ეჭვქვეშ დააყენა სპონტანური ჩასახვის თეორია. მან მინის რვა ჭურჭელში ახალი ხორცის ნაჭრები მოათავსა, ოთხი თავღია დატოვა, ოთხს კი მჭიდროდ დაახურა მარლა. თავღია ჭურჭელში მოთავსებული ხორცის ნაჭრებზე გაჩნდნენ ბუზის მატლები, თავდახურულში კი არა. მაშასადამე, ჭიები ჩაისახნენ არა თვით ხორცისაგან (როგორც იყო მიჩნეული), არამედ იმ კვერცხებისაგან, რომლებიც ხორცზე ბუზებმა დადეს.

მიუხედავად იმისა, რომ რედის ცდებმა უარყო თვითჩასახვა, **ანტონ ვან ლევენჰუკის** მიერ ჩატარებულმა პირველმა მიკროსკოპულმა კვლევებმა გააძლიერა ეს თეორია მიკრობიოლოგიის დარგში. თვითონ ლევენჰუკი არ ერეოდა ბიოგენეზისა და თვითჩასახვის მომხრეებს შორის კამათში, მაგრამ მისმა კვლევებმა მსუყე ლუკმა მისცა ორივე მხარეს. ამ კამათმა სხვა მეცნიერებსაც გაუღვივა ინტერესი და დაიწყეს ექსპერიმენტების ჩატარება ამ კუთხით.

1765 წელს **ლაძარო სპალანცალიმ** ჩაატარა შემდეგი ექსპერიმენტი: ბოსტნეულისა და ხორცის ნახარში რამდენიმე საათი ადუღა და მაშინვე დახუფა. რამდენიმე დღის შემდეგ ნახარში გამოიკვლია და მასში სიცოცხლის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. აქედან დაასკვნა, რომ მაღალ ტემპერატურაზე ცოცხალი არსებების ყველა ფორმა მოისპო და რომ მათ გარეშე არავითარი ცოცხალი აღარ წარმოიქმნებოდა.

1860 წელს ამ პრობლემით დაინტერესდა **ლუი პასტერი**. ამ დროისათვის, მან უკვე ბევრი გააკეთა მიკრობიოლოგიაში და შეძლო იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც მეაბრეშუმეობასა და მეღვინეობას ემუქრებოდა. მან აჩვენა, რომ ბაქტერიები ყველგან აღწევენ და რომ უსულო მასალები იოლად ინფიცირდება ცოცხალი არსებებით, თუ მათ არ გავასტერილებთ.

მთელი რიგი ცდების შედეგად პასტერმა დაამტკიცა ბიოგენეზის თეორიის მართებულობა და საბოლოოდ უარყო თვითჩასახვის თეორია.

თუმცა, ბიოგენეზის თეორიის გამარჯვებამ წამოჭრა სხვა საკითხი – თუ ცოცხალი მხოლოდ ცოცხალისაგან წარმოიშვება, მაშინ საიდან მივიღეთ ყველაზე პირველი ცოცხალი ორგანიზმი? მხოლოდ სტაციონარული მდგომარეობის თეორიას არ სჭირდება პასუხი ამ კითხვაზე, თორემ ყველა სხვა თეორიებში იგულისხმება, რომ სიცოცხლის ისტორიის რომელიღაც სტადიაზე მოხდა არაცოცხალიდან ცოცხალზე გადასვლა. ხომ არ იყო ეს პირველი თვითჩასახვა?

**სტაციონარული მდგომარეობის თეორიის** თანახმად, დედამიწა არსებობდა მუდმივად და ცოცხალი ორგანიზმებიც მუდმივად იყვნენ და ყველა სახეობას აქვს ორი შესაძლებლობა – ან უნდა გამრავლდნენ, ან უნდა გადაშენდნენ.

ამ თეორიის მომხრეები არ აღიარებენ, რომ ნამარხი ფორმების აღმოჩენა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ამა თუ იმ სახეობის წარმოშობისა თუ გადაშენების დრო და ამის მაგალითად მოჰყავთ მტევანფარფლიანი თევზების წარმომადგენლის – ლატიმერიას მაგალითი. პალეონტოლოგიური მონაცემებით, მტევანფარფლიანები გადაშენდნენ, დაახლოებით, 70 მილიონი წლის წინ, თუმცა ეს დასკვნა გადაიხედა მას შემდეგ რაც მადაგასკარის მახლობლად, ინდოეთის ოკეანეში, იპოვნეს მტევანფარფლიანების ცოცხალი წარმომადგენელი. ამ თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სახეობების შესწავლა და მათი შედარება ნამარხ ფორმებთან მოწმობს მხოლოდ მათ გადაშენებას და ისიც, დიდი ალბათობით, შესაძლოა სწორი არ იყოს (ლატიმერიას შემთხვევა). ამ თეორიის მიმდევრები პალეონტოლოგიურ მონაცემებს თავიანთი პოზიციის განსამტკიცებლად იყენებენ. ნამარხი ფორმების აღმეჩენას ისინი ეკოლოგიურ ასპექტში ხსნიან, ასე მაგალითად, რომელიმე ნამარხი სახეობის გამოჩენას კონკრეტულ პლასტებში ისინი ხსნიან ამ სახეობის პოპულაციის რიცხობრიობის ზრდით ანდა მისი გადაადგილებით ისეთ ადგილებში, სადაც ნაშთების შესანახად უკეთესი პირობები იყო. ამ თეორიის სასარგებლო ფაქტების დიდი ნაწილი დაკავშირებულია ევოლუციის ისეთ ბუნდოვან საკითხებთან, როგორიცაა, გარღვევები პალეონტოლოგიურ წელთაღრიცხვაში და ეს თეორიაც სწორედ ამ მიმართულებით დაწვრილებითაა დამუშავებული.

**პანსპერმიის თეორია** სიცოცხლის თავდაპირველად წარმოშობის არავითარ მექანიზმებს არ ხსნის და მის მაგიერ სიცოცხლის არამინიერი წარმოშობის იდეას გვთავაზობს. ამიტომაც არ შეიძლება ჩაითვალოს თეორიად სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, როგორც ასეთი, რადგანაც მას, უბრალოდ, პრობლემა სამყაროს სხვა ადგილას გადააქვს.

პანსპერმიის თეორია ამტკიცებს, რომ სიცოცხლე შესაძლოა წარმოიქმნა ერთხელ ან რამდენიმეჯერ, სხვადასხვა დროს და გალაქტიკის ანდა სამყაროს სხვადასხვა ნაწილში. ამის დასასაბუთებლად იყენებს ამო-ს (ამოუცნობი მფრინავი ობიექტების) მრავალჯერადად გამოჩენას, კლდეებზე გამოსახულ საგნებს, რომლებიც წააგავს რაკეტებს და კოსმონავტებს, აგრეთვე, თითქოსდა, უცხოპლანეტელებთან შეხვედრებს. მეტეორიტებისა და კომეტების შესწავლისას აღმოჩენილ იქნა ბევრი „სიცოცხლის წინარე“ ნივთიერებები, როგორიცაა: ციანოგენები, სინილის მჟავა, ორგანული ნაერთები, რომლებიც დედამიწაზე მოხვედრისას ე.წ. „თესლის“ როლში გამოვიდა და მათგან აღმოცენდა სიცოცხლე. ზოგჯერ ჩნდება ცნობები, რომ მეტეორიტებში ნაპოვნია სიცოცხლის პრიმიტიული ფორმები, მაგრამ დეტალური გამოკვლევებით დგინდება, რომ ისინი მიწიერი წარმოშობისაა.

**ბიოქიმიური ევოლუცია**. ასტრონომებს, გეოლოგებსა და ბიოლოგებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენი პლანეტის ასაკი 4,5-5 მილიარდი წელია.

შორეულ წარსულში დედამიწა თავდაპირველად ცივი იყო, მის შედგენილობაში მყოფი რადიაქტიული ნივთიერებების დაშლის შედეგად იწყო გახურება, ტემპერატურა მის წიაღში 1000°C-ს და უფრო მეტს აღწევდა. ფიქრობენ, რომ ამ დროს ატმოსფერო სრულიად განსხვავდებოდა დღევანდელი ატმოსფეროს შედგენილობისაგან. მსუბუქი აირები – წყალბადი, ჰელიუმი, აზოტი, ჟანგბადი და არგონი გავიდა ატმოსფეროდან, რადგანაც ჩვენი პლანეტის ჯერ კიდევ არასაკმარისად არამკვრივი გრავიტაციული ველი მათ ვერ დააკავებდა. თუმცა, ამ ელემენტების მარტივი ნაერთები უნდა შეკავებულიყო (პლანეტა მიიზიდავდა). ეს ნაერთები იყო: წყლის ორთქლი, ნახშირორჟანგი ($CO_2$), ნახშირჟანგი ($CO$), ამიაკი ($NH_3$), გოგირდწყალბადი ($H_2S$), მეთანი ($CH_4$) და სხვ. სავარაუდოდ, ატმოსფეროში მოლეკულური ჟანგბადის არარსებობა გახდა აუცილებელი პირობა სოცოცხლის წარმოსაქმნელად. ლაბორატორიული ცდებით დადგინდა, რომ რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ორგანული ნივთიერებები (ცოცხალი ორგანიზმების საფუძველი) უფრო იოლად წარმოიქმნება აღმდგენ გარემოში, ვიდრე ჟანგბადით მდიდარ ატმოსფეროში (ჟანგბადი ძლიერი მჟანგავია).

რადიაქტიური ნივთიერებების გამოლევის გამო, პლანეტის ზედაპირმა იწყო გაცივება. მას შემდეგ, რაც ტემპერატურამ 100°C-ზე ქვემოთ დაიწია, დაიწყო წვიმები, რის შედეგადაც წარმოიქმნა ზღვები და ოკეანეები. წვიმის ცხელ წყალში იხსნებოდა ამიაკი, ნახშირორჟანგი, მეთანი, მარილები და სხვა ნივთიერებები, რომლებიც გამოირეცხებოდა დედამიწის ზედაპირიდან. იმის გამო, რომ პირველად ატმოსფეროში არ იყო ჟანგბადი და ოზონი, ულტრაიისფერი სხივები და მაიონიზირებელი გამოსხივება დიდი ინტენსივობით ზემოქმედებდა პლანეტის ზედაპირზე, ხშირი იყო არაჩვეულებრივი ძალის ელჭექები. გამჭოლი გამოსხივების ულტრაიისფერი სხივებისა და ელექტრულ განმუხტვათა ზეგავლენით პირველყოფილ ოკეანეში გახსნილ ნივთიერებებს შორის უნდა მომხდარიყო ქიმიური რეაქციები და მიიღებოდა ქიმიური ნაერთები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, 1923 წელს, **ა. ი. ოპარინმა** წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, სიცოცხლე დედამიწაზე, თავდაპირველად, წარმოიშვა პლანეტის ხანგრძლივი ევოლუციის ერთ-ერთ ეტაპზე არაორგანული მატერიისაგან. ოპარინი მიიჩნევდა, რომ ორგანული ნივთიერებები, ნახშირწყალბადები შესაძლოა პირველად ოკეანეში უფრო მარტივი ნაერთებისაგან წარმოქმნილიყო. ოპარინის აზრით, ოკეანეებში არსებული მრავალგვარი მარტივი ნაერთისაგან, ენერგიის წვდომის ხარჯზე, მრავალი საუკუნის განმავლობაში შეიძლებოდა მიღებულიყო ის „პირველადი ბულიონი“, რომელშიც აღმოცენდა სიცოცხლე.

1953 წელს **ს. მილერმა** ექსპერიმენტებში შექმნა იმ პირობების მოდელი, რომელიც, სავარაუდოდ, ადრეულ დედამიწაზე არსებობდა. მის მიერვე შექმნილ ხელსაწყოში დაასინთეზა ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ბევრი ნივთიერება, მათ შორის ამინომჟავები (ალანინი და გლუტამინის მჟავა), ადენინი და რიბოზა.




**მილერის ხელსაწყო**

*თბილი წყლის შემცველ კოლბას პირველადი ზღვის მაგივრად იყენებდა. სისტემის ძლიერი აღდგენითი თვისებების მქონე „ატმოსფერო“ წყალბადის, მეთანის, ამიაკისა და წყლის ორთქლისაგან შედგებოდა. ხელოვნურ ატმოსფეროში ელვის მაგივრობას ელექტრო-განმუხტვა უწევდა. კონდიციონერში ატმოსფერო ცივდებოდა, რაც მინიატურულ ზღვაში წყლისა და მასში გახსნილი ნივთიერებების ნაკადს უზრუნველყოფდა. სანამ ეს მასალა აპარატში ცირკულირებდა, ანალიზისათვის, პერიოდულად, ნიმუშებს იღებდა (კემპბელი).*

ამის შემდეგ **ს. ფოქსმა და კ. დოზემ** გვიჩვენეს, რომ იმ პირობებში, რომელიც პირველყოფილ დედამიწაზე არსებობდა, შეიძლება მომხდარიყო ცილების სინთეზი აბიოგენური გზით. ორჯელმა კი მილერის მსგავს ექსპერიმენტში ექვსი მონომერული ერთეულის სიგრძის ნუკლეოტიდური ჯაჭვები (მარტივი ნუკლეინის მჟავები) დაასინთეზა.

**ამრიგად, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო არაორგანული მოლეკულებისაგან ორგანული მოლეკულების არაბიოლოგიური (აბიოგენური) სინთეზი**.

მიუხედავად იმისა, რომ ოპარინის თეორიამ ფართო აღიარება მოიპოვა, მასში მაინც არის გადაუჭრელი პრობლემა – რთული ორგანული ნივთიერებებიდან მარტივ ცოცხალ ორგანიზმებზე გადასვლა. კერძოდ კი, იგი სრულყოფილად ვერ ხსნის, თუ როგორ გაუჩნდათ ცოცხალ სისტემებს თავისივე მსგავსის წარმოქმნის უნარი. ამ ასპექტში, ბიოქიმიური ევოლუცია გვთავაზობს საერთო სქემას, რომელსაც ბიოლოგების უმრავლესობა იზიარებს.

ოპარინი მიიჩნევდა, რომ არაცოცხალიდან ცოცხალზე გადასვლისას გადამწყვეტი როლი ცილებს ეკუთვნის. ცილის მოლეკულის ამორფულობის გამო, მას შეუძლია კოლოიდური ჰიდროფილური კომპლექსების წარმოქმნა, იზიდავს რა თავისაკენ გარშემორტყმულ წყლის მოლეკულებს. ამ კომპლექსებს შეუძლია გამოეყოს გარემომცველი წყლის მასას და წარმოქმნას ემულსია (უფრო კონცენტრირებული ხსნარი). ასეთი კომპლექსების ერთმანეთთან შერწყმა იწვევს წყლიდან კოლოიდების გამოყოფას, ამ პროცესს **კოაცერვაცია** ეწოდება. კოლოიდებით მდიდარ კოაცერვატებს შეუძლია გარემომცველი ხსნარიდან სხვადასხვა ნივთიერებები შთანთქას. სავარაუდოდ, კოაცერვატის შედგენილობა დამოკიდებული იყო გარემოს შედგენილობაზე. „ბულიონის“ სხვადასხვაგვარობა სხვადასხვა ადგილებზე იწვევდა კოაცერვატების განსხვავებულ ქიმიურ შედგენილობას და ამგვარად იძლეოდა მასალას „ბიოქიმიური ბუნებრივი გადარჩევისათვის“.

ამრიგად, **დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის გზაზე მეორე ნაბიჯი იყო ორგანული ნივთიერებების კონცენტრირების პროცესი**.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

ქართული როგორც მეორე ენა

# საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა და განათლების სამინისტროს პროექტების შედეგები

საქართველოში, უკვე 5 წელია, წარმატებით ხორციელდება განათლების სამინისტროსა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სხვადასხვა პროგრამა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ერთ-ერთი პროგრამაა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“.

რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი პროგრამის არსებობა საქართველოში და რა შეცვალა წლების მანძილზე განხორციელებულმა პროგრამებმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, დაიხვეწა თუ არა სწავლების მეთოდები, შემუშავდა თუ არა ახალი სტრატეგიები, არის თუ არა დღეს საქართველოში ნიადაგი იმისა, რომ არაქართველმა შეძლოს საქართველოში შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა, სასწავლო, სოციალურ და ოფიციალურ-საქმიან სფეროში ურთიერთობა. ამ საკითხებზე გვესაუბრება პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ კოორდინატორი, ქალბატონი **მაკო ჭილაშვილი.**

– პროგრამა „ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა“ გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების მივლინებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების იმ არაქართულენოვან სკოლებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში, ქართული ენის სწავლების მხრივ, საკმაოდ რთული ვითარებაა. პროგრამა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობასა და ქართული ენის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად.

**– საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია რა ვითარებაა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც არ ფლობენ სახელმწიფო ენას, გვესაუბრეთ რეალურად არსებულ პრობლემებზე...**

– ამ რეგიონებში მართლაც ბევრი პრობლემაა, როგორც განათლების, ასევე მასწავლებლების არაკვალიფიციურობის მხრივ. დეფიციტია არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ სხვა საგნების მასწავლებლებისაც არაქართულენოვან სკოლებში, სადაც ჩასულები არიან ქართულის მასწავლებლები, შედარებით მოგვარებულია ქართული ენის საგნის სწავლების პრობლემა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა საგნებზე. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ საკითხებზე, გვაქვს კონკრეტული გეგმები, რომლის განხორციელებასაც დრო სჭირდება.

**– მსგავსი პროგრამები, შეიძლება ითქვას, ერთგვარი პულსის ფუნქციას ასრულებს არაქართულენოვან სკოლებში. ჩასული მასწავლებლები არა მარტო ქართულს ასწავლიან ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ქართულ კულტურასაც აცნობენ მათ. როგორ ფიქრობთ, რომ არა მსგავსი პროგრამები, რა საფრთხის წინაშე დგება სახელმწიფო და გაგრძელდება თუ არა პროგრამა?**

– ძალიან კარგი იქნება მალე ისეთ შედეგებამდე მივიდეთ, რომ პროექტების და პროგრამების განხორციელება ამ რეგიონებში საჭირო აღარ იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ეს საჭიროება არის და პროექტებიც გრძელდება.

ძალიან მნიშვნელოვანია, იქაური მოსახლეობა უფრო მეტად დაინტერესდეს ქართული ენის კარგად შესწავლით, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია, დასაქმება არა მარტო მათ სოფლებში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში, შეეძლოთ სწავლის გაგრძელება საქართველოში და არ წავიდნენ სომხეთსა და აზრებაიჯანში. თავი იგრძნონ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად.

ამ პროგრამაში არის ქვეპროექტები, რომლებსაც პროექტში ჩართული მასწავლებლები საკმაოდ აქტიურად ახორციელებენ – ატარებენ ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ღონისძიებებს, საახალწლო, საზაფხულო, საშემოდგომო დღესასწაულებს, პოეტებისა და მწერლებისადმი მიძღვნილ დღეებს, რელიგიურ-ეროვნულ დღესასწაულებს, გამოფენებს, სპექტაკლებსა და ასევე გაცვლით პროგრამებს, რომლის მიზანია თემში ქართული ენის შესწავლის მოტივაციის გაღვივება, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობის გაზრდა, შესაბამისად არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

**– პირველი გაცვლითი პროგრამა როგორ განხორციელდა?**

– პირველად განძის სკოლა ჩამოვიდა თბილისში და დაუმეგობრდა თბილისის სომხურ სკოლას. დედაქალაქის სომხური სკოლა ძალიან განსხვავდება განძის სომხური სკოლისგან, ბავშვები აქ ქართულ ენას თავისუფლად ფლობენ და სხვანაირი დამოკიდებულებაც აქვთ, უკვე ინტეგრირებულები არიან ქართულ საზოგადოებაში. მათი შეხვედრა, ერთად ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო და ბევრი კარგი რამ დაგვანახა, რის შემდეგაც გაგრძელდა პროგრამა და დღეს უკვე უამრავი ბავშვია ჩართული.

**– როგორ ხდება პედაგოგების შერჩევა და გაგზავნა რეგიონებში?**

– კონკურსი ყოველ წელს ცხადდება, პროგრამაში ახალი კადრები ერთვებიან, კონკურსანტი მასწავლებლები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის 2-წლიანი გამოცდილება, უმაღლესი განათლება – მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ქართულ ფილოლოგიაში, იყოს სერტიფიცირებული, ტოლერანტული და შეეძლოს უცხო გარემოში ადაპტაცია.

შერჩევის შემდეგ მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები მეთოდიკაში, კულტურულ მრავალფეროვნებასა და ტოლერანტობაში. ასევე უტარდებათ სომხური და აზრებაიჯანული ენის შესწავლის მოკლე კურსი.

**– მას შემდეგ რაც განათლების სამინისტრო ეთნიკური უმცირესობებისთვის სათანადო პროგრამებს ახორციელებს, ხომ არ გაიზარდა სომხებისა და აზერბაიჯანელების რიცხვი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში?**

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროგრამების გარდა არის შეღავათები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველთავის, მაგალითად, პროგრამა 4+1 – მოსწავლე აბარებს ეროვნულ გამოცდას მშობლიურ ენაზე, ერთი წელი სწავლობს ქართულს და ამის შემდეგ ირჩევს ფაკულტეტს, ანუ მას აქვს შესაძლებლობა კიდევ ერთი წლის განმავლობაში გაიუმჯობესოს ქართული ენის ცოდნის დონე და ისე განაგრძოს სწავლა უნივერსიტეტში. ამანაც განაპირობა, რომ ქართულ უნივერსიტეტებში გაიზარდა აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტების რაოდენობა.

2009 წელს, როდესაც ჩვენი პროექტი დაიწყო, საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველი იყო 6 აბიტურიენტი, დღეს კი უნივერსიტეტში 1000-მდე არაქართველი სტუდენტი სწავლობს, ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტები წარმატებით ხორციელდება.

***

ჩვენ დავუკავშირდით ჯავახეთში, ახალქალაქის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის, დილისკის N1 საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს, ქალბატონ **იამზე მსხვილიძეს.**

**– ქალბატონო იამზე, გვიამბეთ თქვენი სკოლის შესახებ, თქვენ ასწავლით სომხურ სკოლაში, სადაც საკამოდ დიდი პრობლემებია, ქართულ ენასთან დაკავშირებით...**

– დილისკა ახალქალაქის რაიონში ყველაზე დიდი და, ამასთანავე, ყველაზე ლამაზი სოფელია. აქ 1200კომლი ცხოვრობს. სოფელში ორი სკოლაა, ორივე სომხური. მოგეხსენებათ, საზღვრისპირა რეგიონებსა და, კერძოდ, ჯავახეთში არაქართული მოსახლეობა 95%-ს შეადგენს და საკმაოდ რთული ვითარებაა ენის ცოდნის მხრივ. უდავოა, რომ დღეს, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ყველაზე კარგი გზა ინტეგრაციის გზაა. პრობლემა ბევრია, მაგრამ დაუძლეველი არაფერია, ამ მიმართულებით სახელმწიფო წარმატებულ პროგრამებს ახორციელებს, ერთ-ერთია „ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა“, რომლის მონაწილეც თავად გახლავართ.

**– რა სირთულეებია ქართული ენის სწავლების მხრივ?**

– როგორც აღვნიშნე, პრობლემები ბევრია, შესაბამისად – სირთულეებიც, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენთვის, ჯავახეთში ჩასული მასწავლებლებისთვის, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავისი მისია, დაუძლეველი არაფერია. ჩემი მიზანია, მოსწავლეებმა მიაღწიონ საკომუნიკაციო მეტყველების გარკვეულ დონეს, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მომავალში, აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის. ამასთანავე, ვცდილობ სწავლება წარვმართო ისეთი მიმართულებით, რომ ხელი შევუწყო მოსწავლის ინტელექტუალურ განვითარებას, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში და თავი სრულუფლებიან მოქალაქედ იგრძნოს. მყავს უამრავი ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობარი, რომლებიც დღეს რეალიზებულები არიან, იციან თავიანთი საქმე. ხშირად ვცდილობ მოსწავლეებს მაგალითად მოვუყვანო თავიანთი ეროვნების, კუთხის წარმატებული ადამიანები, რომლებმაც შეძლეს საკუთარი ადგილის დამკვიდრება ქართულ რეალობაში. პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, ვგეგმავ უამრავ კლასგარეშე აქტივობას, სხვადასხვა ღონისძიებას, კონფერენციებს, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. მოსწავლეებს, მასწავლებლებს ვაზიარებ ქართულ კულტურას, ვასწავლით ცეკვასა და სიმღერას, ვაწყობთ ექსკურსიებს მუზეუმებში, უნივერსიტეტებში, ვათვალიერებთ კულტურულ ძეგლებს და ა.შ.

ზაფხულობით „საზაფხულო ბანაკებში“ მიგვყავს ბავშვები. პედაგოგები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ მოსწავლეებს ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი დღეები მოუწყონ. ჩემი მოსწავლის სურათების კოლაჟს ვათვალიერებდი, წარწერით – „ჩემი მეგობრები ბანაკიდან“, სადაც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები იყვნენ. მიხარია, რომ ასეთი თბილი დამოკიდებულება აქვთ და ეს ურთიერთობები წლების განმავლობაში გაგრძელდება.

სასიხარულოა, რომ ქართულ სასწავლებლებში გაიზარდა არაქართველი მოსწავლეების რიცხვი. მინდა სიამაყით აღვნიშნო ჩემი მოსწავლეების წარმატებებიც, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ. დღემდე თბილი და საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. სამომავლოდ ვგეგმავ, მათი დახმარებით, სკოლაში მოვაწყო პრეზენტაციები და ერთობლივი ღონისძიებები სხვადასხვა თემებზე, ეს კარგი მაგალითი იქნება სხვებისთვის.

როდესაც ამ პროგრამის შესახებ გავიგე, ძალიან დავინტერესდი. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც დავტოვე ყველაფერი და ჩავედი ჯავახეთში. მეოთხე წელია ამ სკოლაში ვასწავლი, პროგრამა საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს და სასურველია, გაგრძელდეს, რადგან მისაღწევი შედეგისკენ გზა არც თუ მარტივია, დაუღალავი შრომით და თანმიმდევრული პოლიტიკით ჩვენ შევძლებთ დასახული მიზნის მიღწევას.

დაწყება ყოველთვის რთულია, გულის კანკალით მივდიოდი სკოლაში, პირველკლასელი მოსწავლის განცდით.

მშობლის ხელს მოჭიდებულ ბავშვისთვის, სადაც სითბოს გაგებებენ, შიში და ემოცია უკან იწევს. მე კი არ ვიცოდი, როგორ შემხვდებოდნენ, რა პრობლემების გადალახვა მომიწევდა და საერთოდ, როგორ მიმიღებდა უცხო კოლექტივი, მაგრამ მალევე მივხვდი ყველა პრობლემას ამსუბუქებს კეთილგანწყობა და საქმისადმი სიყვარული. მყავს არაჩვეულებრივი დირექტორი, თანამშრომლები, საყვარელი ბავშვები და სტუმართმოყვარე ოჯახი, სადაც ვცხოვრობ. მოსწავლეთა წარმატებისათვის ყოველი დღე დიდი პასუხისმგებლობით მაქვს დაგეგმილი, ასევე ვგეგმავ როგორც საგაკვეთილო პროცესს, ისე დამატებით აქტივობებს, ვარგებ მოსწავლეთა საჭიროებებს, რათა უფრო იოლად მოხერხდეს შედეგზე ორიენტირება. ჩემი მიზანია, ქართულ ენასთან ერთად მათ კრიტიკული აზროვნებაც ვასწავლო, რათა გააცნობიერონ, მხოლოდ ცოდნით შეიარაღებულებს ექნებათ უპირატესობა მომავალში.

ნათია ვარძელაშვილი

ქართული როგორც მეორე ენა

# სამხრეთული ყოფა

## I თავი

## ერთი ნაბიჯით წინ

რა უცნაურია ადამიანის ცხოვრება. არასოდეს იცი წინ რა გელოდება. ერთ მშვენიერ, თუ არ მახსოვს, როგორი დღე იყო, გავიგე პროექტის შესახებ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (იგი გულისხმობს საქართველოში მცხოვრებ არაქართველთათვის ქართული ენის სწავლებას). დეკანმა აუდიტორიაში მყოფ მეოთხეკურსელებს აცნობა ამ პროგრამის შესახებ, ვინაიდან მე-3 კურსზე ვიყავი, ჩემთვის ადრე იყო. მერე პროექტის შესახებ უფრო მეტი რამ გავიგე, უკვე უშუალოდ პროექტის მონაწილეებს დავუკავშირდი და დეტალური ინფორმაცია მივიღე.

ისე, აღარ დავმალავ და დედაჩემის დაჟინებული თხოვნა იყო, მოვხვედრილიყავი პროექტში (მისი აზრით, ეს პროგრამა მომცემს საუკეთესო გამოცდილებას, მასწავლის დამოუკიდებელ ცხოვრებას, განსხვავებული კულტურის მქონე ხალხთან ურთიერთობას და რაც ასევე ძალიან დიდი მოტივაციაა პირადად ჩემთვის – დამიფინანსებს მაგისტრატურას). იყო რთული დღეები: ჯერ CV-ს გაგზავნა და პასუხის მიღება, შემდეგ ტესტირება, შემდეგ გასაუბრება და ბოლოს სასიამოვნოდ დამღლელი ტრენინგები. ყველა საფეხური წარმატებით გავიარე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ტრენინგებზე გატარებული 10 დღე ჩემ ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო... თუმცა ამ საუკეთესო 10 დღეში იყო საოცრად სევდიანი 2 საღამო. არ ვიცოდი სად, რომელ მხარეს მოვხვდებოდი. გადანაწილების შემდეგ ან სომეხ ან აზერბაიჯანელ უმცირესობაში მომიწევდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება. რატომღაც სასურველი იყო აზერბაიჯანელებთან მოვხვედრილიყავი. იმ საღამოს, როდესაც ჯავახეთში წამსვლელთა სია გამოიკრა, ძალიან ვღელავდი. წინა დღეს ვიძახდი „ოღონდ ჩემი სახელი და გვარი არ ეწეროს-მეთქი“. ვახშამზე გავდიოდით სასტუმროდან, მეგობარმა დამირეკა „რიტიკო, ვიზიარებ, ჯავახეთში მოხვდიო“. საჭმელი კი არა, სუნთქვაც აღარ მინდოდა, ვინაიდან ჩემთვის ეს მხარე მარადიულ ზამთარს და გამყინავ სიცივესთან ასოცირდებოდა. თუმცა ვიცოდი, გამორიცხული არ იყო, მსგავსი რამ მომხდარიყო.

ტრენინგების შემდეგ იყო გაცილებით რთული დღეები – მომზადება სამაგისტრო გამოცდებისთვის და შემდეგ გამოცდის შედეგების გაგების აუტანელი მოლოდინი. არ ვიცი როგორ, მაგრამ ყველაფერმა საუცხოოდ ჩაიარა. უნარები ივლისში ვწერე და ქულა უკვე ვიცოდი. ინგლისურის და პროფესიულის გამოცდები მქონდა დარჩენილი სექტემბრის დასაწყისში. დავიწყებული ინგლისურის 10 გაკვეთილის მეცადინეობისა და პროფესიულისთვის გამოცდის წინა ღამის გათენებამ შედეგი გამოიღო.

მასწავლებელთა სახლში მიმავალს, ე.წ. ყვითელ ავტობუსში მეგობრის ზარი „მომეწია“ და მახარა – „რიტიკო, გილოცავ! მაგისტრატურაზე ჩაირიცხე“. მთელმა ავტობუსმა მომილოცა, ისე ხმამაღლა მომივიდა აღტაცების გამოხატვა. მერე გავაცნობიერე და მომერიდა.

სულ რამდენიმე დღეღა რჩებოდა საპატიო მისიით სამცხეში გამგზავრებამდე, ზედმეტად ემოციურს გრძნობები გამიმძაფრდა. მართალია, წინა პროექტელის შემართებამ რომ გამიმართლა და ძალიან კარგ ხალხში მოვხვდი, ცოტა დამამშვიდა, მაგრამ არა ბოლომდე. ცხადია, ვიდრე ადგილზე, ჩემი თვალით არ ვნახავდი სად და როგორ უნდა მეცხოვრა, მომავალი 9 თვის განმავლობაში, ვერ მოვისვენებდი.

პროექტელები (უმეტესობა ჩემი მეგობარია) საქართველოს სამხრეთში ერთად გავემგზავრეთ. ეს რამდენიმე საათი ამაღელვებელი იყო. არც ერთმა არ ვიცოდით, სად მივდიოდით და წინ რა გველოდა. შინაგან მღელვარებას გარეგნული სიცილითა და თავის გამხნევებით „ვმალავდით“. მთელი სამი საათის განმავლობაში მძღოლს, არ ვიცი, რამდენჯერ ვკითხეთ, მალე მივიდოდით თუ არა მომავალ საცხოვრებლამდე. აჰა, დანიშნულების ადგილზე ვართ, ნინოწმინდაში მოხვედრილთათვის ბოლო გაჩერებაა. ახალქალაქში მოხვედრილთათვის კი გზა გაგრძელდა.

რესურსცენტრში დირექტორებსა და ოჯახის წევრებს შევხვდით. მათ კი, ვინც რომელ სოფელშიც მოვხვდით იქ უნდა წავეყვანეთ. მე დირექტორმა მომაკითხა. სოციალური ქსელის საშუალებით მისი ფოტო ნანახი მქონდა და მაშინვე ვიცანი. ვიდრე ის იკითხავდა ვინ მიდიოდა დიდ ხანჩალში, მე გამოველაპარაკე და გავეცანი. მონაწილეები სევდიანი თვალებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და ერთი სასწავლო წლის ბედნიერად გატარება ვუსურვეთ. სახლისკენ ტაქსით წამოვედით, სასიამოვნოდ გამაოცა გზის სიმცირემ რაიონიდან სოფლამდე. ვიფიქრე მეტი საშუალება მექნებოდა ცივილიზაციასთან შეხების (ვინაიდან შეიძლებოდა, ნინოწმინდიდან 3 კი არა 13 ან მეტი კილომეტრის მოშორებითაც ამომეყო თავი). ვზივარ ტაქსში და ვფიქრობ, ამ მხრივ გამიმართლა, ახლა ოჯახი ვნახოთ, ნეტავ როგორ მიმიღებენ.

ეზოში შესვლისთანავე სამი გოგო მომეგება და თბილად გადამკოცნა. სახელები ვკითხეთ ერთმანეთს, შემდეგ ქართულ ენაზე წარმართულმა დიალოგმა უსაზღვროდ გამახარა. ჩემი ოთახი მაჩვენეს, მომეწონა. ერთადერთი, ოთახის კარის ნაცვლად ფარდის ნახვამ დამაღონა (ზოგადად, არ აქვს მნიშვნელობა, საკუთარ სახლშიც კი ვკეტავ ოთახის კარს). აბაზანა ვითხოვე ეგრევე, თან გულში ვფიქრობ – „ნეტავ სახლში იყოს“ (ვინაიდან, შეიძლებოდა ან სულ არ მქონოდა, ან სახლის გარეთ ყოფილიყო რაიმე მისდაგვარი). აჰა, ისევ გამიმართლა. მშვენიერი, ახლად გარემონტებული აბაზანა დამხვდა. სიხარული დაუფარავად გამოვხატე, გოგოებს კი გულიანად გაეცინათ. ერთი შეხედვით მივხვდი, რომ კარგ ადგილას მოვხვდი, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი აშკარად დავრწმუნდი. გადასარევი ოჯახი შემხვდა, კარგი კოლეგები სკოლაში და ბავშვებიც ჭკვიანები, მეტ-ნაკლებად. :))))

პირველ სამუშაო დღეს, პროფესიული კუთხით გადადგმულ პირველ ნაბიჯებს აღელვებული შევხვდი. სკოლის ეზოში, სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, მშვენიერი ზეიმი ჩაატარეს, ამ დროს წავაწყდი ჩემსკენ მომზირალ უამრავ წყვილ თვალს. მოსწავლეების ინტერესით აღსავსე გამომეტყველებას და ჯერ არ გაცნობილი ბავშვებისგან საოცარი სითბო მივიღე. თავი სათავგადასავლო ფილმის მთავარი გმირი მეგონა (დღემდე ასეა). ყველა შენ რომ გიყურებს და აინტერესებთ ვინ ხარ, როგორ საუბრობ და ა.შ...

ჰო, ერთი ცუდი ჩვევა მაქვს – გვიან ვიძინებ, რაღა თქმა უნდა, კომპიუტერთან ვათენებ. ამიტომ ყოველ დილით ჩემი თბილი დიასახლისის ხმა მაღვიძებს – რიტა. ჰო, ვპასუხობ და ეს ნიშანია – გავიღვიძე, ვდგები. მიუხედავად ჩემი ძილთმოყვარეობისა, სკოლაში ჯერ არ დამიგვიანია.

პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მევალება გაკვეთილების ჩატარება, ვითვლები როგორც დამხმარე მასწავლებელი, ძირითადი ადგილობრივი პედაგოგია. ზოგჯერ ხდება ისე, რომ მიწევს მაღალ კლასელებთან შესვლაც, რაც საკმაოდ საინტერესოა. გარდა იმისა, რომ ქართულს ვასწავლი, ისინიც ცდილობენ, მასწავლონ სომხური. მეც, ჩემი მხრივ, ცოტას ვსწავლობ. დიდიან-პატარიანად ყველა კმაყოფილია ორიოდ სომხური სიტყვაც რომ გადავაბა ერთმანეთზე, მაშინვე მოდის რეაქცია – ყოჩაღ რიტაჯან, ლავ ახჩიკ (კარგი გოგო). ბავშვები უზომოდ თბილები არიან, ყოველ დანახვაზე დღეში რამდენჯერმე ქართულად მესალმებიან. ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოდიან, მეხუტებიან და მკოცნიან. მათზე წრფელი მართლა არავინაა. მე რაც შემიძლია ყველას ვუნაწილებ სითბოს და მერე მათგან ათმაგად ვიღებ.

ვერ წარმოიდგენთ, რა სიყვარულით დავაცხვე მჭადები, ასევე რა მონდომებით გავაკეთე იმერული ხაჭაპური, მერე იყო ფელამუში... თუმცა ჩემი ნახელავის დაგემოვნება ყველამ როდი ისურვა. ეგ კი არა, ბავშვებმა რომ დაინახეს მჭადი, თვალები გაუფართოვდათ – ეს რა არისო? მე კი, როგორც შემეძლო, ყველანაირად ავუხსენი. მჭადზე მეტად ჭვიშტარმა გაამართლა, ახლა თამამად მიირთმევენ.

ქართული რომ არ მესმის, არც ერთი ქართული არხი რომ არ მაქვს, ეს ხომ საშინლად მთრგუნავს, მაგრამ აი, უტყეობა და ხეთა თითქმის არარსებობა მაგიჟებს!! სადღაც, თითო ოროლა ხეს რომ დავინახავ, მინდა მივიდე, ჩავეხუტო. სხვების სურათებს რომ ვათვალიერებ სოციალურ ქსელში, თუ რა ლამაზია შემოდგომა – წითელ, ყვითელ, მწვანე და ყავისფერ ფოთლებით მორთულ ხეებს რომ ვხედავ, გული მიკვდება. აქ ხის ფოთოლი მწვანედან ეგრევე ნეშომპალად იქცევა. ფაქტობრივად, ვერ ესწრება შემოდგომას. ხუმრობით ვამბობ ხოლმე, აქ მხოლოდ ერთ სეზონ ნახევარია-მეთქი,ზამთარი და ცოტა გაზაფხული.

ყოველ დილით, როგორც კი ლოგინს გამოვემშვიდობები, ფარდას ვწევ და ფანჯრიდან ხედს გავცქერი, სულ მეშინია, თოვლი არ დამხვდეს. მწარე გამოცდილება მაქვს, ეს „ბედნიერება“ შუა ოქტომბერში უკვე 2-ჯერ მეწვია. დავშინდი. მომქანცველი 6 გაკვეთილის შემდეგ ერთი სული მაქვს, სახლში მივიდე, ვჭამო და დავისვენო, ან ეგრევე Facebook-ზე შემოვძვრე. აქ მთელი ჩემი „სამყაროა“.

ჯავახეთში ყოფნის 1 თვის თავზე, საოცრად მოულოდნელი, ემოციური და სასიამოვნო შეხვედრა მქონდა „თსუ გორდელას“ გოგოებთან. მათი მოსმენისას ჟრუანტელი მივლიდა ტანში, განათება დარბაზში გათიშული იყო, თორე იმ დროს ვინმეს რომ შემოეხედა, ჩემს სახეზე გაბრწყინებულ სახეს ვერ ნახავდა.

ერთ მშვენიერ საღამოს დაბადების დღეზე დამპატიჟეს. სიამოვნებით წავედი. ძალიანაც მაინტერესებდა, როგორ იხდიან აქ იუბილეს. ჩემდა გასაოცრად, სახლში ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი. რატომ? როცა იუბილარს ვესტუმრე, სუფრა მზად იყო, ტორტამდე და სხვა რაღაცებამდე, თვალში ღვინის ბოთლი მომხვდა ქართული წარწერით – „საფერავი“. ჩემი აღფრთოვანება გადამდები აღმოჩნდა. ეგ კი არა, თამადად დამნიშნეს და სულ საფერავით „მივსცხე“ ქართული სადღეგრძელოები. ვინაიდან ყველას არ ესმოდა, რას ვლაპარაკობდი ღვინის ჭიქით ხელში, ამიტომ მყავდა მოსწავლე „თარჯიმანი“ და ის „ასომხურებდა“ ჩემ ნათქვამ ქართულ სადღეგრძელოებს. ადრე ფიქრადაც არ გამივლია სომხურ სიმღერაზე როგორ უნდა მეცეკვა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივიდა, ცეკვა არ გამომიტოვებია არც სომხურ, არც ინგლისურ, არც რუსულ და არც ქართულ სიმღერებზე. კარგი მოლხენა კი იციან.

მოკლედ ასეთია ჩემი სხვანაირი ყოფა ჯავახეთში. ყველა ჩემიანისა და ჩემეული ყველაფრისგან შორს, რომ იტყვიან ცხრა მთას იქით.

2.11.2013 1:35

**რიტიკო შუბითიძე**

*დასასრული შემდეგ ნომერში*

საბავშვო წიგნის ფესტივალი

# წიგნიერება გადაგვარჩენს

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სასწავლო-საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრები, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრთან და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ლიტერატურული სტუდიის წევრებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვნენ საბავშვო წიგნის III ფესტივალში, რომელიც 4 მაისს სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა. ფესტივალის მიზანი – აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლე ახალგაზრდობამ გაითავისოს უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის საყოველთაო რჩევა-დარიგება მომავალი თაობისადმი, რომ დაუბრუნდნენ ჩვენს სიბრძნის წყაროს – წიგნს და დააგროვონ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა მამულისა და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

კვირეულში მონაწილე აფხაზეთიდან დევნილმა შემოქმედმა მოზარდებმა მხატრულად წარმოადგინეს ამონარიდები თავიანთი საყვარელი ქართული და უცხოური საბავშვო წიგნებიდან, წაიკითხეს ლექსები, ცნობილი ადამიანების გამონათქვამები წიგნზე, შეასრულეს საბავშვო ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

აღნიშნულმა პროექტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსწავლე ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი და შემეცნებითი განვითარების საქმეში. მასში ჩართული იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი საჯარო სკოლებისა და დედაქალაქში მცხოვრები ბენეფიციალები, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრები.

ღონისძიების დასასრულს ფესტივალის მონაწილეებს – **საბა მაისურაძეს, მეგი მურღულიას, თამარ საბაურს, ანრი ვიბლიანს, თამარ და მარიამ შელიებს** და სხვებს – საჩუქრად გადაეცათ სხვადასხვა ჟანრის საბავშვო წიგნები. ისინი დაჯილდოვდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის მიერ ხელმოწერილი სპეციალური დიპლომებით.

აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა საბავშვო წიგნების ავტორებთან და თბილისელ თანატოლებთან სამახსოვრო სურათები გადაიღეს. სურვილი გამოთქვეს, რომ კვლავაც ასეთ თბილ და საინტერესო გარემოში შეხვედროდნენ ერთმანეთს.

**ნონა ბერაია**
*სსუ დოქტორანტი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომელი*

ინფორმაცია

## სამინისტრომ ეროვნულ ბანკთან ერთად ახალი პროექტი დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **გიორგი ქადაგიძემ** და საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მხარდაჭერის ასოციაციის თავმჯდომარემ **არჩილ ბაკურაძემ** თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, თანამშრომლობა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი სტუდენტების სტაჟირებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და ამით მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ხელშეკრულება უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი იმ სტუდენტების პროფესიული უნარების განმტკიცებასა და მათთვის დასაქმების ხელმისაწვდომობას, რომლებიც აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პირველი და მეორე საფეხურების საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსებისა და მარკეტინგის სპეციალობაზე სწავლობენ.

სტუდენტები საქართველოს მასშტაბით მოქმედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში გაივლიან სტაჟირებას, რაც ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას. ასევე, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ხელს შეუწყობენ წარჩინებული სტუდენტების დასაქმებას.

## სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა განახლებული პროგრამებით ამოქმედდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** დასავლეთ საქართველოში სასწავლო დაწესებულებები მოინახულა. მინისტრი ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში განახლებულ სასწავლო პროგრამებს გაეცნო და პედაგოგებსა და რეგიონულ კოორდინატორებს შეხვდა.

სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ქუთაისში მალე განაახლებს თვითმმართველობებსა და ცენტრალური სტრუქტურების ადგილობრივ ორგანოებში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას, რომლის მიზანია: მსმენელებმა შეისწავლონ სახელმწიფო ენის საფუძვლები, შეძლონ ქართულად წერა, კითხვა, ლაპარაკი ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო თემებზე, მარტივი ტექსტური შეტყობინებების, საქმის წარმოების მიზნით წერილების და დოკუმენტების შედგენა. ეს მათ ერთიან სახელმწიფო ადმინისტრირების სივრცეში ინტეგრაციაში დაეხმარება.

სამინისტროს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ სწავლა უკვე განაახლა დმანისში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, წალკაში, ბოლნისში, მარნეულში, გარდაბანსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრებში, სადაც წარმატებულ კურსდამთავრებულებს, სწავლის დასრულების შემდეგაც, სახელმწიფო მართვის სრული სასწავლო კურსის ქუთაისში, სამინიტროს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში გავლის საშუალება მიეცემათ.

სასკოლო აქტივობა

# ჩვენ ვსწავლობთ თანაცხოვრებას

როგორც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია, რამდენიმე წლის წინ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დაიწყო ქალაქის გამწვანების პროექტი. ამ მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „განსხვავებული უნარების მქონე პირთა გაერთიანების“ თავმჯდომარე **გიორგი ამაშუკელი** დაუკავშირდა თბილისის მე-60 საჯარო სკოლას. აღნიშნული ორგანიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშესაწყობად, სხვადასხვა სახის პროექტებს ახორციელებს. ორგანიზაციის თავმჯდომარის ინიციატივით და მე-60 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, პირველ მაისს გაიმართა აქცია – სკოლის ტერიტორიის გამწვანება.

მე-60 სკოლა, 2005 წლიდან, ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას. ამჟამად სკოლაში 32 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს. სკოლის მიზანია, ყველა მოსწავლე სრულად მონაწილეობდეს სასკოლო თუ საჯარო აქტივობებში, სწავლობდეს ურთიერთთანამშრომლობას პედაგოგებისა და სპეციალისტების დახმარებით, თანაცხოვრებას, განსხვავებულობისა და სისუსტეების გაცნობიერების ფონზე გრძნობდეს პატივისცემას და მხარდაჭერას.

პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ასაკის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა, თანაკლასელებთან ერთად, სხვადასხვა ჯიშის ხეები დარგეს. სკოლის ტერიტორიის გამწვანებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: სკოლის დირექტორი, ბატონი **ვალერიან გიორგაძე**, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები – **მაკა მღებრიშვილი, ნინო ცხადიაშვილი, თამარ ქიტესაშვილი** და მოსწავლეთა მშობლები. პროექტის მიზანი, რომელიც გარემოს გამწვანებას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრირებას ემსახურებოდა, წარმატებით განხორციელდა.

ვიმედოვნებთ, მომავალში კვლავ გაგრძელდება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, თანაგრძნობის გაღვივებასა და თანამედროვე ტოლერანტული ღირებულებების დამკვიდრებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ჩართვას და სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებას.

**მაკა მღებრიშვილი**
*სსიპ თბილისის №60 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორი*

## წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

## სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

## თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

## ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I–V ტომი, – 11 ლარი

❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I–VII ტომი – 11 ლარი

❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I–II ტომი – 16 ლარი

❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I–II ტომი – 15 ლარი

❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV–V ტომი –18 ლარი

❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი

❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I–VII ტომი –12 ლარი

❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I–V ტომი – 12 ლარი

❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I–X ტომი – 12 ლარი

❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I–VI ტომი – 10 ლარი

❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

**მითითებულია თითო ტომის ფასი**

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5.გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარპე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკობ ხუცესი
13. იოანე საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჩულე
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით ალმაშენებელი

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

## „მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“

### წიგნის თარო

## მიმდინარეობს ხელმოწერა

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

**თითო ტომის ფასი – 12 ლარი**

## რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა




**თითო ტომის ფასი – 9 ლარი**

**ფასი – 15 ლარი**

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

### ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
**ინტელექტი სკოლას**

**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
**ფასი – 4 ლარი**

**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
**ფასი – 10 ლარი**

**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
**ფასი – 10 ლარი**

## „გამოცდებზე“

### ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
**ფასი – 3 ლარი**

### ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
**ფასი – 6 ლარი**

### ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
**ფასი – 4 ლარი**

### ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
**ფასი – 4 ლარი**

### ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
**ფასი – 6 ლარი**

### გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
**ფასი – 6 ლარი**

### ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
**ფასი – 6 ლარი**

### ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
**ფასი – 9 ლარი**

### მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
**ფასი – 5 ლარი**

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
**მარიკა ჩიქოვანი**

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >